

295/2  
1896

№ V

ეროვნული  
ბიბლიოთეკა


# საქართველო




1896 ბ ა ი ს ი

ჟურნალის „ჯეჯილისა“

I	მაისი, ლექსი—რეს-იმერელისა . . . . .	3
II	ბზიკი ამბავი—ზარტენ გოთუსისი . . . . .	5
III	ნერო, უიდის მოთხრობა—ნათარგმნი ელიკოსი . . . . .	14
IV	გლეხის სიმღერა, ლექსი—ფატრელისა . . . . .	30
V	ორი ძმა ჩინური ზღაპარი—თარ. ალ. ბარნოვისა . . . . .	32
VI	ბავშვის სიმღერა, ლექსი—ტ. დ. . . . .	43
VII	პირუტყვთა ჭკუა-გონება . . . . .	44
VIII	კვერნა და ციყვი რუსულიდან . . . . .	54
IX	სამი უნარი იგავი—ალ. მ—შილისა . . . . .	55
X	სიმართლე სიმდიდრეზე უძვირფასესია (რუსულიდან) . . . . .	56
XI	წერილმანი . . . . .	



ჟურნალი „ჯეჯილი“ 1896 წელს გამოდის ყოველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს — ექვსის მაგივრათ და ჟურნალი მხოლოდ ერთი მანეთით შეუტი ღირს. (თბილისში 4 მ. და ქალაქ გარეთ 5 მ.) რედაქციაში მუდმივი თანამშრომლობა იკისრეს: რაქ. ჯაჯანაშვილმა, ალ. მირიანაშვილმა და ალ. კარსევანაშვილმა.



წუთ და კარეთ გაფრინდა; დედის გაჯავრება და გულის მოუყანა, იმას გამოუთქმელ სიამოვნებას ჰკვრიდა. ახლაც ძალიან გაეხარდა, რომ დედას მისი თხოვნა არ შეუსრულა, თავისი ჰასუსით ჩააფიქრა და თვითონ კი დაუსჯელი გადარჩა. ამ ნაირი ქცევისთვის მას სძირათ სატირებდენ სოღმე უწინ...

## II.

დედა კიდევ დიდხანს იდგა იმავე ადგილს, გაუნძრევლათ. ის გაკვირვებით ეკითხებოდა თავის თავს—ნეტავო რამ ათქმევინა ჰაჭუს ამ დილას ასეთი უცნაური სიტყვები! იქნება მართლა მიწინასწარმეტყველა!.. ბავშვის ჰიროთ, რომ თვით ანგელოზი მუსაიფობს! ვინ იცის, იქნება ტყუილათაც კი წამოცდა! მარა ამდენ ხანს, რომ ასეთი არაფერი წამოცდენია, ამ ჰარასკეგ დილას რაღამ ათქმევინა?! ღმერთო, ღმერთო, მშვიდობა მოუვლინე ჩემს ოჯახს. ის წარდგა ღვთის-მშობლის სატის წინაშე და სასოებით ლოცვა დაიწყო. ლოცვას შემდეგ, თუძცა სსვა საოჯახო საქმეებიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ გულმა მანც ვერ მოუთმინა, გამოვიდა ავიანსე და ესოში გადაიხედა. დილის ცვარნი ჯერ კიდევ არ გამშრალიყო. მოელვარე მზის სხივებსე მთელი ესო მომნიბლველათ აკრიბლებულიყო, თითქო ვისმე ეოველ ბაღასის ძირში, ეოველ ევავილის ფურცელსე აუარებელი თვალ-მარგალიტი გაეზნიოსო. იქვე ოდის წინ გადაშლილ ცაცხვის სეზე შემომჯდარიყო „ინდონი“ და ხალისიანათ სტყენდა. მასლობელ ტეიდან ამ

სტვენას უერთდებოდა შაშვის დაძაფიქრებელი და საგრძნობელი ცალობა და უერთა სძენას ატკობდა. დედის გული ამ საუცხოვო სურათმა განარების მაგივრათ კიდევ უფრო დახანღვლიანა. — ვაიძე, რა ღმერთი გამიწერა, რა ვა ვაშვი გარეთ ცვარძი ამ ბაღანაი, ავათ რომ გამიხდეს, რაღა მეშველება მაშინ, — გაიფიქრა მან და ბავშს თვალთ ეზოში ქებნა დაუწყო. — ვაი თუ სადმე შაშვის ჭურღულმა გადაიტყუა — ვაუელვა უცებ თავში და ტყისკენ ცქერა დაიწყო. მერმე გადახდვა მთლათ აივანს და ცალი თვალთ ქვევითაც გადაიხედა. — უი, მისი ჭირიმე ჰაჭუნიკი, აგერ ეოფილხო, — წამოცდა უცებ სიხარულით... მართლაც ბავში იქვე იყო ოდის კიბესთან. მის წინ, ეელმოღერებულ ევავილზე, იჯდა ლამაზი „სასარული ჰეჰელა“ და იქიდან სიტკობობას წუწნიდა. ჰაჭუ მიჰაროდა ამ ჰეჰელას, აწურულიყო წელში, გადასრილიყო ევავილი-



საკენ. დაებჯინა ცალი სელი მუსლზე, ცალი კი გაეშალა ევავილისაკენ და ჰეჰელასთვის დაემისნებინა. კისერიც წინ გადაეწია, ბაკეზეც ნეტარების ღმილი შემოჰპაროდა და

მთელის არსებით თვალთა ხილვით გადაქცეულიყო. ზაჭუ გაშლილ ხელს ნელ-ნელა აპარებდა ზეპელასკენ... დედას წარმოუდგა თვალწინ ეს სურათი და ახლა კი მის გულსაც ხალისი გადაეფინა. გაიღიმა სიამოვნებით და თან გაიფიქრა: — თუ ზაჭუ ამ ზეპელას დაიჭერს, მაშინ მისი დღევანდელი სიტყვები, ტყუილათ ჩაივლის, თუ არა და...

ამ სიტყვების გათავებაც ვერ მოასწრო, რომ ზეპელა აეშა ნახათ უვაჟილიდან და ჰაერში შეცურდა.

— ფუჭ, შეგარცხვინა ღმერთმა, რა ჰქენი მავი, ველარ დაიჭირე? გრცხვენოდეს, — გადამხსნა დედამ წყენით. ბავშვს მართლა შერცხვა, მას სრულებით არ ეგონა, თუ ვინმე უუბრებდა. მაინც გული გაიმაგრდა და დედას უპასუხა თავის ქნევით. — მაინც ალ მინდოდა დაჭედა!

— აბა რას შერებოდღი?

— ისე მივეზაღე!

— აბა ტყუილათ რა გინდოდა?

ბავში ცოტათი შეჩერდა, შერმე კი ეოქმანით უპასუხა.

— ვუუულებდი, ლავა წუტნიდა.

— დაჭერა თუ არა გინდოდა, ამოდი მალე ზევით, ზირი არ დაგიბანია და საუზმე არ გიჭამია! რას გაჩერებულხარ? — დაუძახა დედამ წყრომით.

— კი, ჩემო ნენაი, ამ ზეპელას დევიჭილამ და მელე მუალ. — შეესვეწა ზაჭუ.

—მაგ ერთს თუ დაიჭერ, იუპი კიდევ ჰატარა ხანს, თუ არა და ამოვი ახლავე ზევით. რას უეურებ იმის წუწნას, მას შენ ვერას დროს ვერ დაიჭერ. ჰეჰელა ეოველთვის ქე წუწნის!..

—კი, ძალა, ლატომ წუწნის?—შეეკითხა ბავში.

—შია და იმიტომ წუწნის.

—ეოველთვის ლო წუტნის, კაია თუ?

—დიხსაც კაია, ევაგილის გული ტკბილი არის.

—შაქარია შიდ თუ?

—შაქარიც კია და კრიზუჭიც, —უხასუსა დედამ სიცოცხლით და ოდამი შევიდა.

—მასე თუა, ჰეჰელა კი ალა მეც კალგათ ჩავწუწნავ, —გაიფიქრა ჰაჭუმ და ჰეჰელას გამოუდგა.

### III.

ჰეჰელაც არ ჩქარობდა. ის გადავიდა ერთი ევაგილიდან მეორეზე, დაუწეო ჯერ კარეშემო ფეთქა და მერმე ეშინანათ ზევით დანაკუჭდა. ჰაჭუმაც გადასწევიტა ჰეჰელასავით მოქცეულიყო. როგორც კი ჰეჰელა იქიდან აფრინდა, განნდა მაშინვე ევაგილის სიხსლოვეს, შემოურბინა კარეშემო რამდენჯერმე, აუსტა, დაუსტა, მერმე გასწია ევაგილისკენ თავის ჰატარა ტუჩი, გამოჭეო ენა და ევაგილს შიადო, გაუსვა იქით აქეთ, მაგრამ სიტკბოება კი ვერაფერი ვერ იგრძნო. —რაც სიტკბოება ეოფილა, ჰეჰე-



ლას შეუჭამიაო,— გაიფიქრა მან, ახლა კი, დაჯდება ვე-  
 ვილს თუ არა, მაშინვე ავაფრენ და მთელი კრიზუჭი მე  
 დამრჩებაო. გამოუდგა ისევ ზეპელას. აგერ ორივენი ერთს  
 ქორფათ გადაშლილ ვეავილს დაუახლოვდნენ. ზეპელამ მიუ-  
 ფეთქა ვეავილს, და, ის იყო, დაჯდომას აპირებდა, რომ  
 ვეავილი უცებ რაღაც მიზეზით შეირსა, ზეპელა დაფრთხა  
 და ჰეარის სივრცეში გადაიკარგა. ზაჭუსაც ეს უნდოდა,  
 ის მიეპარა მაშინვე ვეავილს, წამოუჩოქა, გამოჰყო გა-  
 რეთ ენა და ვეავილის გულში ჩადებას აპირებდა, რომ  
 რაღაცა ენის წვერზე ბზუილით წააფრინდა. თურმე ვე-  
 ვილში ბზიკი მჯდარიყო. ზეპელაც მან დააფთხო და გააქ-  
 ცია, მაგრამ ვეავილში არსეინათ მჯდომარე ბზიკი ზეპე-  
 ლამაც შეაშინა თავის მხრივ და იქიდან აფრენაც გადა-  
 წვეეტია. ბზიკი შემოტრიალდა და ამოფრენასაც აპირებ-  
 და, რომ სევიდან ზაჭუს ენა გადაეფარა. მეტი ღონე აღარ  
 იყო, უნდა სტაკებოდა და ისიც თავ გამოდებით ეცა ამ  
 ენას. ზაჭუ შესტა უცებ, და „ვაი ნენაო“ იუვირა. ბზიკ-  
 მა კი დატოვა მის ენაში თავის კრძელი ისარი და გა-  
 მარჯვებული მერე მხარეს გაბზუილდა. ზაჭუმ ტირილი  
 და ვვირილი მორთო და საჩქაროთ მოჰკურცხლა სახლის-  
 კენ.

მის ვვირილზე დედა გულის ფანცქალით გარეთ გა-  
 მოვარდა.— ვაიმე, შვილო, რა დაგეძარათ. ზაჭუმ სიტყვის  
 თქმა ვეღარ მოახერხა, მხოლოთ ენა გამოჰყო გარეთ...

— რაა, შვილო, რა დაგეძარათა, ეკითხებოდან დედამისსა  
ხმის კანკალით.

— მიკიჭა... — ძლივს წარმოთქვა ჰაჭუმ.

— ვაიმე, რამ გიკბინა, ნენა, თქვი ძალე?

— ბზუილამ, — თქვა ჰაჭუმ დიდის გაჭირვებით და ენაც  
გამოჰყო.

— ბსიკი გიკბენდა, უთხრა ცოტა დამშვიდებით დე-  
დამ, მე კინაღამ გადავირჩიე და... გამოჰყავი კიდევ ენა!  
ჰაჭუმ გამოყო. დედამ მაშინვე განკებ შავტარიანი დანა  
მოიტანა და ნაკბენს ფხეკა დაუწყო, მერმე უწამლა თავი-  
სებურათ და ბავშიც დააშოშმინა. ამას შემდეგ დაბანა  
სელ-პირი, ტანისამოსიც ახალი ჩააცვა და საუსმეც მოუ-  
ტანა. საუსმემ ჰაჭუს ვეღაფერი გადაავიწუა და კარვ გუ-  
ნებასეც დაუენა. ბოლოს დედამ ჰკითხა: იცი რატომ გი-  
კბინა ბსიკმა?

— კლიაჭის წაღთმევა მიწოდდა და ალ დამანება. —  
უწასუნა ჰაჭუმ. დედამ ეს სიტყვები ვერც კი გაიგო, მაგ-  
რამ აღარ ჩაეკითხა და თავისი განაგრძო: — დღეს რომ შენ  
მითხარი, თუ გინდა მოკვდიო, იმისთვის დაგსაჯა ღმერთ-  
მა, კიდევ მეტევი ამას შემდეგ? — დაეკითხა დედა. ბავშმა  
ნაღვლიანათ გაიღიმა.


— რას იცინი? — ჰკითხა დედამ — სომ აღარ მეტევი?

— აწი? — ლას?

— რას და იმას, რაც დღეს მითხარი.

— დღეს ალა... უწასუნა ჰაჭუმ და გაირბინა გარეთ.





## ნ ე რ მ.

(უიდას მოთხრობა)

აღაც ნერო გაიზარდა, იმ ოჯახში დედა და სამი შვილი იყო; ორი შვილი, ქალ-ვაჟი, ძალიან პატარები იყვნენ, უფროსი კი, ოცი წლის სანდრო, მებაღეთ იდგა და თავის შრომით არჩენდა ქვრივ დედას და უნცროს და-ძმას. ამნაირათ, სახლში უფროსათ სანდრო იყო, მაგრამ ნერო მას სრულიათაც არაფრათ ავადებდა; მისი ფიქრით სახლში უფროსიც

და ბატონიც პატარა, ათი წლის ვაჟი, ლოლო, იყო. ლოლომ იმდენი სხვა-და-სხვა ფოკუსები ასწავლა ნეროს, რომ ამ უკანასკნელმა მალე მთელ ფლორენციაში გაითქვა თავი.

ლოლოს ოჯახი ფლორენციაში, წმ. მიხეილის ეკლესიასთან, ცხოვრებდა. ეს ეკლესია ლოლოს სულით და გულით უყვარდა და ყოველთვის მისკენ მიისწრაფოდა. მთელი საათობით იჯდა ხოლმე მის კიბეზე და ტკებოდა არე-მარეს სილამაზით, ან და შევიდოდა თვით ეკლესიაში, ამოეფარებოდა ვეებერთელა სვეტებს და უყურებდა ლამპრებით განათებულ ხატებს.

ლოლო ჯერ ერთი წლისაც არ შესრულებულიყო, რომ

აკენიდან გადმოვიარდა და ფეხი მოიტეხა. ფეხი კი მოუტრ-  
ჩინეს, მაგრამ მას შემდეგ ვეღარ გამობრუნდა და სამულა-  
მოს სუსტ და ავითმყოფ ბავშვით დარჩა. სხვებსავე სკოლა-  
ში სიარული არ შეეძლო, არც რამე ხელობისათვის ვარგოდა, მარ-  
ტო ერთათ ერთი ხელ საქმე იყო, — ხნა-და-ხნა ნაირი კალათე-  
ბის დაწნა. ამიტომ მას ძალას არაფერ ატანდა და ნებას აძლევდნენ,  
თავის დრო როგორც უნდოდა, ისე მოეხმარებინა. ისიც სარგებ-  
ლობდა ამ თავისუფლებით და მთელი დღეობით სახლში არ იყო.  
ხან ეკლესიის კიბეზე იჯდა და გულ-მოდგინეთ უგდებდა ყურს იქა-  
ვე მოედანზე მოლაპარაკე ფაქრებს, ხან კი ქალაქს გარეთ გავიდოდა  
და თავის ნეროთი ერთათ მთებში და ტყეებში დახეტიალებდა. სალა-  
მობით ორივე, ბავში და ძაღლი, მხიარულები და ბედნიერები ბრუნ-  
დებოდნენ ხოლმე სახლში და თან ყვავილების თაგულებს მოუტან-  
დნენ შინაუბრებს. შეილის სიხარულს რომ ხედავდა, დედაც ბედნი-  
ერათ გრძნობდა თავს, სხვებზე უფრო მას ეფერებოდა, და ერთხე-  
ლაც არ წაყვედრებდა — ტყუილა-მჭამელი ხარო, თუმცა მის უნც-  
როს დას, თინას კი ამუშავებდა. ან როგორ შეიძლებოდა, რომ  
თინაც არ მოხმარებოდა შინაურ საქმეებში! რაც მამა მოკვდა, მთე-  
ლი ოჯახი ისეთ სიღარიბეში ჩავარდა, რომ ხან-და ხან სახლში ერ-  
თი ნატეხი პურიც არ იყო. მოხუცი დედა თანდათან უძლურდებო-  
და, და ამავე დროს ახალი უბედურებაც ელოდათ! სანდროს ჯარ-  
ში წასასვლელი ბილეთი უნდა ამოეღო და მთელი ოჯახი შიშით  
მოელოდა იმ დღეს. ვერც კი წარმოედგინათ, რა მოუვიდოდათ,  
სანდრო რომ მათთვის წაერმიათ და შორს წაეყვანათ! ვინ-ღა არჩენ-  
და მათ, ხომ ყველა შიმშილით უნდა მომკვდარიყვენ!

ერთ დილას ლოლო ჩვეულებრივით ეკლესიის კიბეზე იჯდა;  
ნეროც გვერდით მოწოლოდა. შეენაერი დილა იყო; მზე მხიარულათ  
ანათებდა და არემარეც ხარობდა; ყველა კაი გუნებაზე იყო, ფაქ-  
რებიც რაღაცა სხვა ნაირი ხალისით ექცეოდნენ თავის მყიდველებს.  
ლოლო და ნერო ყველა ამას თვალს ადევნებდნენ, როცა უეცრათ  
ეკლესიიდან გამოვიდა უცნობი კაცი და მათ წინ გაჩერდა,

— რა კარგი ძაღლი გყავს! — უთხრა მან ლოლოს. ლაპარაკზე  
ეტყობოდა, რომ იტალიანური ენა მისი სამშობლო ენა არ იყო.

— დღეს ეს დაუბანელია! აჰ, კვირას უნდა ნახოთ! ყოველ



კვირას, როცა სანდრო სახლშია ხოლმე, ჩვენ ებანთ და ვასუფთავებთ ჩემ ნეროს.

— რამდენი წლის არის?

— სამის.

— ნასწავლიც არის?

დიხაც! ყველაფერი შეუძლია! უკანა ფეხებზე სიარული იცის, ცეკვა, კარების გაღება... თუ ეუბძანე, სიკვდილსაც კი მოიგონებს, ერთი სიტყვით, ყველაფრის ასრულება შეუძლია! თუ გნებავთ, ახლავე გაჩვენებთ ყველა ამას!

— ძალიან კარგს იზამ!—უპასუხა უცნობმა.

ქუჩაში ლოლო და ნერო ისე გრძნობდნენ თავს, როგორც თავის საკუთარ სახლში; იქვე, მოედანზე, ლოლომ ყველა თავისი ფოკუსები გააკეთებინა ნეროს. ჭკვიანმა ძაღლმა ყველა ალტაცებაში მოიყვანა. ვაჭრებმა თავის სავაჭროს დაწებეს თავი, დალაქი მაკრატლით გამოჩნდა სადალაქოს კარებში, დიაკონიც კი გამოვიდა საყდრიდან და თვალს ადევნებდა ძაღლის თამაშს. უცნობი კაცო გაკვირვებით შეცქეროდა ჭკვიან და ლამაზ ძაღლს.

— რა იამებოდა ჩემ ვიქტორს ამის ნახვა!—თავისთვის თქვა მან და მერე ლოლოს მიუბრუნდა:

— არ შეიძლება ეს ძაღლი ჩემთან მოიყვანო, რომ ერთი ავთამყოფი ბავში გაახარო?

— დიდი სიამოვნებით!—უპასუხა ლოლომ.—სად ცხოვრებს ის ავთამყოფი ბავში?

— ინგლისის ნომრებში. ამ ნასადილევს იქ მოდი და მე მიკითხე.— და უცნობმა კაცმა ლოლოს კალთაში ჩაუდგა რამოდენიმე ვერცხლის ფული და ქალაღი, რომელზედაც მისი სახელი და გვარი ეწერა.

ლოლო სწრაფათ გაიქცა სახლისკენ, ნეროც უკან დაედევნა. საშინელი ყვირილით და ხმაურობით შევარდნენ ისინი ოთახში.

— დედა, დედა, შეხედე, რა მომცეს ნეროს ფოკუსებისთვის!

— სიხარულით იძახოდა ლოლო.—ახლა შენ შეგიძლია, ფეხსაცმელები იყიდო, სანდროს ახალი საცვალი შეუკერო და მეც წითელ პერანგში გამომაწყო!—ლოლოს ეგონა, ეს რამოდენიმე ვერცხლის ფული ულეველი სიმდიდრე არისო.

ნასადილევს ლოლო და ნერო ინგლისის ნომრებისკენ გაემზაურენ. ისინი მაშინვე დიდ და ლამაზათ მოწყობილ ოთახში შეიყვანეს; ყოველგან ძვირფასი ხალიჩები, სურათები და სარკეები ეკიდა; მაგრამ ლოლოს, როგორც ფლორენციის მკვიდრ მცხოვრებს, ვერაფერი გააკვირვებდა; ის თამამათ გრძნობდა თავს და არხეინათ ათვლიდებდა მორთულ ოთახს, არც ნერო ჩამორჩა უკან თავის პატარა პატრონს, იმანაც ამაყათ ათვლიდებდა-ჩაათვლიდებდა იქაურობა და რბოლ ხალიჩაზე გაწვა მოსასვენებლათ. ჩამოდენივე წუთს შემდეგ დილანდელი უცნობი კაცი შემოვიდა, ბავშს თავზე ხელი გადაუსვა და ორივე მეგობარი მეორე ოთახში შეიყვანა; იქ ტახტზე წამოწოლილი იყო გამხდარი, გაყვითლებული პატარა ვაჟი. ის ისეთი სუსტი და უძლური იყო, მის ლამაზ სახეს ისეთი მწუხარე გამომეტყველება ჰქონდა, რომ ყველას გულში სიბრალულს აუძრავდა.

ეს ვაჟი მდიდარი და სახელოვანი მამა-პაპის მემკვიდრე იყო, მაგრამ მას ჯანმთელობა აკლდა და ვერაურით ვერა ეშველათრა მისთვის. ლოლოს და ნეროს შემოსვლაზე იმან გაიღიმა, მაგრამ მალე ისევ შექმუნა სახე.

— ეს ბავში ჩემსავით კოჭლია! — თქვა მან ლოლოსთვის უცნობ ენაზე.

— კი, მაგრამ ის მაინც ტან-მთელა და სალია! მე იმედი მაქვს, რომ იტალიის მხე შენც შევძენს ძალ-ღონეს. უპასუხა მამამ. — შეხედე, რა ლამაზი ძაღლი მოიყვანა თან!

— რა ლამაზა, რა კარგი ძაღლია! — წამოიძახა ბავშმა და ხელები გააშვირა ნეროსკენ. ნერო მიუახლოვდა და ზურგზე ხელი გადასმევინა. ამას მერე ლოლომ დილანდელივით ყველა ფოკუსები გააკეთებინა თავის მეგობარს. ავთამყოფი პატარა ვიქტორი ბერს იცინოდა და მზიარულებდა; მის სახეს მწუხარების ღრუბელა გამოვრდა და ახლა ის სიამოვნებით უმასპინძლებოდა ორივე მეგობარს, ლოლოს და ნეროს, სხვა-და-სხვა ტკბილეულობით. როცა ლოლომ სახლში წასვლა დაპირა, ავთამყოფმა ტირილი დაიწყო: — ნუ მიტყავეთ ეს კარგი ძაღლიო.

— მე მინდა, რომ ის ჩემთან დარჩეს! — ლოლომ ვერ გაიგო, რასაც თხოულობდა ვიქტორი, მაგრამ მაინც ძალიან შეეცოდა.

— ხვალ შენი იქნება ეს ძალი! — დაამშვიდა მამამ შეილი, მისცა კიდევ ლოლოს ფული და სახლში გაისტუმრა.

— აი, ჩემო ნერო; — ელაპარაკებოდა გზაზე ლოლო თავის მეგობარს, — ყოველ დღე რომ ამისთანა კარგი კაცები შეგხედენ, ყოველთვის სადილათ ხორცი გვექნებოდა და თეატრში სიარულიც შეგვეძლებოდა.

ის სიხარულით მიეშურებოდა სახლისკენ; ნერო კი ისე მიხტოდა, რომ ლურჯი ლენტი კისერზე აღარ უდგებოდა.

მაგრამ ლოლო რომ სახლში მივიდა, სიხარული ჩამწარდა. მისი ოჯახი თავ-ზარ დაცემული იყო. სანდროს სალდათობა რგებოდა და ამ უბედურებას ყველა დაერეტიანებია. საბრალო სანდრო თავის დედას და დას ჩაჯდომოდა შუაში და სამივე ცხარეთ ტიროდენ. არაფერ არ მიაქცია ყურადღება ლოლოს და მის ფულებს. ნერო მიხედა, აქ რალაც უბედურება არისო, მოიკრუნხხა კუთხეში და ყმუილი დაიწყო.

— სანდრო უნდა მოგეცილდეს! სამი წელიწადი ველარ ენახათ, ველარ გაეიგონებთ მის ხმას! სანდრომ უნდა დაგეტოვოს! — ფიქრობდა ყველა. ლოლო თავის ნეროს მოუხუდა გვერდში, მაგრათ მოხვია ხელები და ტირილი დაიწყო. ცოტა ხანს იქით ადგა, მივიდა დედასთან და ნაშოენი ფული მიაწოდა.

— რას გეიშველის ახლა ეგ? მაგითი სანდროს ხომ ვერ ეუშველით! — მწუხარეთ თქვა დედა და არ გამოართვა ფული. ლოლოს ეს ძალიან ეწყინა და გულ-დაწყვეტილი წაივინდა ის და ნერო დასაძინებლათ.

მეორე დილას ორივემ ადრე გაიღვიძეს და სანდროს წაყვეს სამუშაოზე; იმ დილას სანდროს ქალაქის ბალისთვის უნდა მოველო.

— სანდო, არ შეგიძლია, რომ არ წახვიდე სალდათათ? — კრძალვით ჰკითხა ლოლომ უფროს ძმას.

— არა, ჩემო კარგო, ეგ შეუძლებელია! აი, ასი თუმანი რომ გექონდეს, მაშინ ჩემ მაგიერათ სხვა ვინმეს ეიქირავებდით იქ წასასვლელათ და მე კი სახლში დაერჩებოდი, — უპასუხა სანდომ. მთელი დილა ლოლო მოწყენილი იჯდა ქალაქის ბაღში ჩირგე-ქვეშ, ნეროც გვერდში უწვა. სადილათ შინ მობრუნდენ, სანდრო კი ბაღში დარჩა, სადილი სახლიდან ჰქონდა წამოღებული.

სახლში რომ მოვიდა, ლოლომ თავისი დედა ველარ იცნო. დილას ტირილით თვალეზ დასივებული ქერიეი ახლა რაღაცას ძალიან აელვლებინა; ის ხან უმიზეზო ხარხარს დაიწყებდა, ხან ტყუილი უბრალოთ გაუწყრებოდა შეილებს, ხან ისევე მოფერებას დაუწყებდა. ნასადილევს იმან ცივათ უთხრა ლოლოს:

— შენ დედა ანასთან უნდა წახვიდე, ის სადღაც მიდის და მის შეილებს უნდა მოუარო. მალე წადი!

ლოლო გამგონე ბავში იყო. იმან წამოაელო ქუდს ხელი და ნეროს დაუძახა.

— ნერო აქ დატოვე!—წყრომით უთხრა დედამ.—ანას ძაღლები არ უყვარს და შემომითვალა, ლოლოს ნუ გამოატან მის ნეროსო!

— როგორ? ნერო სახლში დაეტოვო?—გაკვირვებით ჰკითხა ბავშმა.

მას აქეთ, რაც ერთმა ნაცნობმა უცხოელმა კაცმა პატარა ლეკვი, ნერო, აჩუქა, ის და ლოლო ერთმანეთს არ მოშორებინან.

— რამდენჯერ უნდა გაგიმეორო? სახლში დატოვე მეთქი! არ გესმის? წადი, გასწი მალე!—ამ სიტყვებით დედამ ნერო სახლში შეათრია, ლოლო და თინა კი გარეთ გამოავდო. ლოლომ ტირილი მორთო, თინა კი ცდილობდა დაემშვიდებინა თავისი გულდაწყვეტილი ძმა.—ხომ ხედავ, რომ დედა რაღაცაზე გულმოსულია! რა დიდი რამეა, ნერო თუ ერთხელ სახლში დარჩა? უბედურება ხომ არაფერი მოუვა!

თავის პატარა დედაშვილებთან ისინი საღამომდის დარჩენ; კარგა შეგვიანებული იყო, როცა დედა ანა შინ დაბრუნდა და დაძმა სახლში გამოისტუმრა, ხელ-ჩაკიდებული მიდიოდენ ორივე; ლოლო ძალიან გლახა გუნებაზე იყო, თითონ არ იცოდა, რა მიზეზით. გული რაღაც მოუსვენრათ უცემდა.

— ნერო, ნერო!—დაიძახა ლოლომ, როგორც კი მიუახლოვდენ სახლს.

სად იყო ნერო? რატომ არ შეხვდა გზაზე, რატომ არ გამოვარდა ოთახიდან მის ძახილზე?

— ნერო, ნერო! გაიმეორა ბავშმა და კიბეზე აირბინა. მარდათ გაალო კარები და კიდევ დაიძახა:

— ნერო, ნერო! — მაგრამ ნერო არსად ჩნდა.

— დედა! ნერო სად არის? — გაკვირვებით ჰკითხა ლოლომ დედას.

დედა მისი რალაცას ჰკერაედა, სანდრო ჯერ არ დაბრუნებულყო.

— დედა, რა უყავი ნერო, ჩემი ნერო? — ჰკითხა ხელ მეორეთ ლოლომ. მის პატარა, ლამაზ სახეზე საშინელი მწუხარება გამოიხატა და თვალები ცრემლებით ავესო.

დედას თავიც არ აუღია მაღლა, ისე უპასუხა: — ნერო გაყვიდე!

— გაყვიდე!.. — ლოლო გაყვითლდა; მთელ ტანში ჟრუანტელმა დაურბინა, რალაცა სიტყვების ბუტბუტი დაიწყო, ხელები ზევით ასწია — და რამოდენსამე წუთს შემდეგ უგრძნობლათ დაეცა ძირს.

სანდრო რომ სახლში დაბრუნდა, ლოლო ლოგინში იწვა და საშინლათ ცახცახებდა, ბოდაედა.

თინამ უამბო უფროს ძმას ყველაფერი.

— რა გიქნია დედა! როგორ გაყვიდე ნერო! ლოლოს ისე საშინლათ უყვარდა!..

— მე იმაში ასი თუმანი მომცეს! — უპასუხა დედამ. — ახლა შენ ჯარში აღარ წახვალ, ჩვენ შეგვიძლია, შენ მაგიერთ ვინმე ვიქირავოთ. ძაღლისთვის წუხილი არ ღირს! ჩვენ ლოლოს სხვას გუშოვნიო!

— სხვა — ნერო არ იქნება! — თქვა სანდრომ. გულში მას უხაროდა, რომ სახლში დარჩენა შეეძლო, ამიტომ დედას აღარ უსაყვედურა.

ნერო მართლაც გაყვიდეს. ლოლო და მისი მეგობარი რომ ბაღში იყვნენ, იმათსა გუშინდელი უცხოელი კაცი მოვიდა და ქვრივს უთხრა, ჩემ შეიღოს ძალიან უნდა თქვენი ძაღლი და უსათუოთ უნდა მომყიდოთო. სხვა ღროს ქვრივი არ გაიმეტებდა ნეროს, მაგრამ ამ დილას ის სულ იმ ფიქრში იყო, თუ საიდან იშოვოს ასი თუმანი. უცხოელის სიტყვებმა გულში იმედი გაუღვიძა და ქვრივმა გამოუცხადა, მაგ ძაღლს ას თუმან ნაკლებ ვერ გავიმეტებო. უცხოელი მაშინვე დათანხმდა, ასე რომ ქალმა ინანა, მეტი რატომ არა ეთხოვეო. დაპირებისამებრ, ნასადილევს ქვრივმა თითონ მიიყვანა ნერო თავის ახალ პატაროთან.

მწუხარებით ლოლო მძამეთ ავით გახდა; წამ-და-უწუმ წამოვარ-  
 დებოდა, — ნეროსთან წამიყვანეთო. — დედა ისევე დააწვეწენდა, მაგრამ რას  
 უშეგლოდა! საწყალი ბავშვის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა.

— ნერო! ნერო! — გულ-საკლავი ხმით ყვიროდა პატარა ავათ-  
 მყოფი.

ექიმა რომ ნახა, თავი გაიქნია და გამოაცხადა, ავთმყოფობა  
 ძალიან საშიში არისო.

ლოლო სულ უარესათ და უარესათ ხდებოდა; აღარც სანდროს,  
 აღარც დედას ახლო აღარ იკარებდა. სანდრომ ველარ მოითმინა ძმის  
 ტანჯვა და გადასწყვიტა, ცოტა ხნით მაინც გამოეერთმევე უცხოელს  
 ჩვენს ნეროსო, მაგრამ სასტუმროში რომ მივიდა, გამოუცხადეს: ის  
 მდიდარი კაცი, რომელმაც თქვენი ძალლი იყიდა, იმ დღესვე წა-  
 ვიდა ფლორენციიდანო.

— ძალლიც თან წამიყვანა? — ჰკითხა სანდრომ.

— როგორ არა! — უპასუხა მოსამსახურემ. — თუმცა მე რომ  
 მკითხვით, წასაყვანი არ იყო! მთელი დღე გულ-შესაწუხებლათ ყმუ-  
 ოდა და ოთახის კარები სულ გააფუჭა, იმდენს ფხაჭნიდა! არაფრის  
 გულისთვის არ უნდოდა მათთან დარჩენა!

— საწყალი ნერო! — წაიბუტბუტა სანდრომ.

— ძალლი ყოველთვის ძალლია! — უთხრა სანდროს დედამ,  
 როცა ეს ამბავი გაიგო. — იქ უკეთ მოუვლიან და ერთ კვირას  
 იქით ჩვენ სრულგებობაც დაევაწყდებით!

სანდრომ კარგათ იცოდა, რომ ნერო მათ, განსაკუთრებით  
 ლოლოს, ასე მალე ვერ დაივიწყებდა!

ექიმი დღემი ორჯელ დადიოდა. ლოლო უძრავათ იწვა  
 ლოგინში, სიცოცხლის ფერი აღარ ედო, ხმას აღარ იღებდა. მხო-  
 ლოთ იშვიათათ დაიწყებდა ხოლმე ტირილს და ნეროს სახელის  
 გამეორებას.

— არ შეგიძლიათ უშოვოთ, რასაც თხოულობს? — ჰკითხა ექი-  
 მა. — დამშვიდდებოდა და მაგის მორჩენის იმედიც მომეცემოდა.

მაგრამ ნეროს პოენა შეუძლებელი იყო. საწყალი დედა ახლა  
 კი გრძნობდა, რომ უსამართლოთ მოექცა შვილს და გულ-საკლა-  
 ვათ ქვითინებდა.

— ჯარში მაინც ხომ არ იქნები; — ეუბნებოდა ის სანდროს და





ბოლოს ინუგეშებდა ამით თავს — ჩვენი ძეგლი, გვიღობა, მათვე ასი თუმანი და შენ მაგიერთ ის წავა! რა დიდი რამეა, თუ შენ ძალლი გამსხვერპლე!

— ძალლი კი, მაგრამ ლოლო? — წყნარათ ჰკითხა სანდრომ. — მე ბილეთი მერგო, უნდა წაესულიყავი. ღმერთი მოგვეხმარებოდა, რამე ნაირათ გაძლებდით...

— სწორეთ ღმერთი მოგვეხმარა და ის უცხოელი გამოგვიგზავნა! აი, ახლა ასი თუმანი გვაქვს, დაკლებით კი რა დაგვაკლდა? მარტო ერთი ძალლი, რომელიც ჰამ-ს მეტს არას აკეთებდა...

— კი, მაგრამ ლოლო? — კადვე უფრო წყნარათ ჰკითხა შეილმა. საწყალმა დედამ ველარ მოითმინა, ჩაღუნა თავი და ხელ მეორეთ მწარეთ ქეთინი დაიწყო.

ღრო გადიოდა... აი, შემოდგომაც დადგა, ლოლო სულ უარესათ და უარესათ ხდებოდა... ექიმის სახე სულ უფრო მწუხარე გამომეტყველებას იღებდა...

— ის ძალლი რომ უბოვოთ, შეიძლება, მორჩეს! — თქვა ერთხელ მან და სიბრალულოთ შეხედა ბავშვის პატარა, ვამხდარ, გაყვითლებულ სახეს.

ვინ იცოდა, სად იყო ნერო! შეიძლება, ინგლისში ან ამერიკაში წაიყვანეს, იქნება ცოცხალიც აღარ იყო!

საცოდავმა ქერივმა ამოალაგა ყუთიდან ასი თუმანი და ზიზლით შეხედა მათ:

— უჰ, თქვე ეშმაკის გამოგზავნილებო, თქვენ შემაცდინეთ მე! — წამოიძახა მან. — თქენი ბრალია, რომ შეილი მიკედება, — თქენი!

რა სიამოვნებით მისცემდა ის ამ ას თუმანს, და ზედაც დაუმატებდა, რაც კი რამ ებადა, ოღონდ ერთხელ კიდე ენახა თავისი ლოლო მხიარული და მოცინარი, უწინდელივით ნეროსთან ერთათ ქუჩებზე მოსეირნე!

სამმა კვირამ გაიარა, ლოლო ისევ იმ მდგომარეობაში იყო. მთელი დღეობით უგრძობლათ ეგდო, ხან-და-ხან დაეტყობოდა სახეზე სიცოცხლის ნიშანი და მაშინ მწუხარეთ წამოიძახებდა ხოლმე „ნერო, ჩემი ნერო სად არის?“ ვამხდარი, თმა გაკრეჭილი ის საშინელებით შესახედავი იყო: დიდი შავი თვალეობით სულ ერთ ადგილს მიჩე-

რებოდა, ვერაეის ვერ ცნობდა, არაფერს არ ჰამდა... ძალიან გაუ-  
ღებდენ ხოლმე პირს და აწვეთებდენ შიგ რძეს...

მეზობლებს ძალიან ეცოდებოდათ ლოლოს ოჯახი და თვით  
პატარა ავთომყოფიც, ყოველ დღე მოდიოდნენ მის სანახავათ და  
ძღენათ სხვა-და-სხვა ხილი მოჰქონდათ... საწყალი ბავში კი სულ  
უარესათ და უარესათ ხდებოდა... ახლა განძრევაც კი აღარ შეეძ-  
ლო.. ექიმმა გამოუცხადა დედა მისს, მაგის მორჩენა შეუძლებე-  
ლიაო.

— ის ძალი რომ ნახოს, შეიძლება კიდევ მორჩეს, მაგრამ  
ახლა კი — იმედი უნდა გადაიწყვიტოთ!

საცოდავი ქერივი ხელებს იმტრევედა და თმას იგლეჯდა. მან  
თითონ, თავის ხელით მოჰკლა თავის შვილი!

ლოლოს უკანასკნელი წამები დათვლილი იყო...

ერთ კვირა დღეს შუა-დღისას წმ. მიხეილის ეკლესიიდან გა-  
მოვიდა შემოსილი ღვდელი და ლოლოს სახლისკენ გაემართა მამა-  
კედავ ბავშვის საზიარებლათ, თან დიაკვანიც მაჰყავდა. აიარეს კიბე-  
ზე და მიუახლოვდნენ ავთომყოფის საწოლს. ბავში გაუნძრევლათ იწ-  
ვა, არაფერი არ ესმოდა, ვერაფერს ვერ ხედავდა... დედა მისი, სანდ-  
რო და თინა შემოხვეოდნენ მას ლოგინს და გულ-ამომჯდარი ტი-  
როდნენ...


ღვდელი მიუახლოვდა ბავშვს და ლოკვა დაიწყო... მის სახეს  
ღრმა მწუხარება ეტყობოდა.. იმ ზაფხულს ის ლოლოს ასწავლიდა  
საღმრთო სჯულის და ძალიან შეუყვარდა ჰქვანი და ბეჯითი ყმაწ-  
ვილი. ის თვალ-ცრემლიანი დაჩერებოდა ავთომყოფს და გული  
უკვდებოდა. ოთახში სიჩუმე იყო, მარტო ტირილის ხმა ისმოდა.

ამ დროს საშინელი ხმაურობა მოისმა. ხმაურობა სულ უფრო  
და უფრო ახლოვდებოდა, უეცრათ კარები გაიღო — და ნერო მამა-  
კედავ ბავშვის ლოგინს მივარდა.

ლოლომ წყნარათ თვალი გაახილა და მის მიბნედილ, უახრო  
თვალეებს სიცოცხლე დაეტყო, მთელ სახეზე სიზარულის და ბედნი-  
რების შუქმა გადურბინა.

— ნერო, ნერო... — ნაზი ხმით წამოიკნელა მან. ძალი მივარ-  
და და გამხდარი სახის ლოკვა დაუწყო.

ნერო დაბრუნდა სახლში, მათან ერთათ დაბრუნდა ლოლოს



საქართველოს  
სამხრეთ-აღმოსავლეთი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სიცოცხლეც. ცოტ-ცოტათ ემატებოდა მას ფერ-ხარცი და ძალ-  
ლონე, ნერო მის ექიმათ გადაიქცა. ის თითონ საშინლათ გამხდა-  
რიყო, და ძალიან სისუსტე ეტყობოდა, მაგრამ დღე და ღამე არ  
შორდებოდა თავის პატარა მეგობრის ლოგინს და თავის მოსიყვა-  
რულე თვალებს მის სახეს არ აშორებდა.

ახლა ლოლო სრულ ბედნიერათ გრძობდა თავის თავს. ჯერ  
ისე სუსტი იყო, რომ არც კი შეეძლო გამოეკითხა ვისმესთვის, ნე-  
რო აქ როგორ გაჩნდა; ძალლი მასთან იყო და მეტი მას არა უნ-  
დოდა-რა!

მაგრამ სხვისთვის კი ეს არ იყო საკმარისი! კარგათ იცოდენ  
ქერიემა და სანდრომ, რომ ნერო გაყიდული იყო და დღეს თუ  
ხვალ იმ უცხოელ კაცს ნება ჰქონდა წაერთმია ძალლი მათთვის!  
როგორ აიტანდა ლოლო ძალლის მოშორებას? არა, მეორეთ ის  
ველარ გამობრუნდებოდა; თუ ნეროს წაიყვანდენ, მას სიკვდილს ვე-  
ლარაფინ გადაარჩენდა! როგორც რომ კბეზე ფეხის ხმა მოისმოდა,  
დედას შიშისაგან კანკალს დააწყებინებდა, სანდრო რომ სახლში  
დაბრუნდებოდა, პირველათ იმას იკითხავდა, ნეროს წასაყვანათ ხომ  
არაფინ მოსულაო.

ათმა დღემ მშვიდობით გაიარა; მეთერთმეტეზე სანდროს ჭიშ-  
კართან ვილაც უცნობი კაცი შეხვდა.

— თქვენ რომ ინგლისელ ლორდს ძალლი მიჰყიდეთ, სახლში  
ხომ არ დაბრუნებულა? — იკითხა მან.

ეს კაცი — ლორდის მოსამსახურე იყო; იმან უამბო სანდროს:  
ძალლი რომში ჩაეიყვანეთ და იქიდან ერთ დილას სადღაც გადაგე-  
კარგაო. ვერსად ვერ ენახეთ და ბოლოს ლორდმა იფიქრა, შეიძლე-  
ბა ფლორენციაში დაბრუნდაო.

— ახლა თვით ლორდიც ფლორენციაშია. იმან მიბძანა, ძალ-  
ლი უკანვე მოიყვანეო. დაათვა მსახურმა.

სანდრო აღელვებით ისმენდა ყველა ამას. იმას კარგათ ესმო-  
და, რომ ნეროს ხელ-მეორეთ მიცემა და ლოლოს სიკვდილი — ერ-  
თი იქნებოდა.

— დიან, ძალლა დაბრუნდა, — ბოლოს თქვა სანდრომ — რაღა-  
ცა სასწაულით უპოვნია რომიდან ჩვენამდის გზა! აი, ხომ პირ-და-  
პირ გითხარით, რომ ძალლი ჩვენსა არის, მაშ ცოტა თქვენც მენ-

დეთ, ნება მომეცით, თქვენ ბატონთან წაგიდე და მოველაპარაკო. ნამდის კი—ნერო ჩვენთან იყოს... მე პატარა ძმა მყავს, რომელსაც უმიხსოთ სიცოცხლე არ შეუძლია...

სანდრომ ველარ გააგრძელა ისე აღვლევებული და შეწუხებული იყო. მსახური დათანხმდა, სანდრო თავის ბატონთან გაისტუმრა და თითონ კი მისი სახლის კარებთან ყარაულათ დარჩა, ძალი არსად გააპარონო. სანდრომ მადლობა გადაუხადა, შევიდა ოთახში, სინარულით შენიშნა, რომ დედა სახლში არ იყო, საჩქაროთ ამოიღო ასი თუმანი ყუთიდან და „ინგლისის სასტუმროსკენ“ გაეშურა. ღარიბ-ლატაკმა მებალემ გადაწყვიტა, ემსხვერპლა თავისი თავი, თავისი თავისუფლება, ოღონდ კი ძმა სიკვდილისაგან გადაერჩინა!

სასტუმროში იმას ნახვეარი საათი ცდა მოუხდა, ბოლოს, როგორც იქნა, შეიყვანეს დიდ, შევნიერათ მოწყობილ ოთახში, საღაც დიდებული ლორდი და მისი მეუღლე თავის ავთმყოფი შვილის ლოგინთან ისხდნენ.

— ნერო სად არის, ჩემი ნერო!—მოუთმენლათ წამოიძახა ბავშმა, როგორც კი სანდრომ ოთახში ფეხი შედგა.

— თქვენო უდიდებულესობავ!—წაიბუტბუტა მებალემ და ქუდი მოიხადა. — საბრალო ნერო ჩვენთან დაბრუნდა.

ბავშმა სინარულით შეჰკივლა, მისმა დედ-მამამ გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს.

— თქვენთან დაბრუნდა? რომიდან ფლორენციაში გზა გამოიგნო?

— დიახ, ბატონო. გამოიგნო. — თქვა სანდრომ, მერე თამამათ განაგრძო: — მე თქვენთან ერთი ძალიან დიდი სათხოვარი მაქვს: ჩვენ ღარიბები ვართ, მე ჯარში უნდა წავსულიყავი, აი, ამიტომ გაჰყიდა დედამ ნერო. იმ ფულებით მას უნდოდა ჩემ მაგერათ, ჯარში წასასვლელათ, სხვა ვინმე ექირავებინა. ჩემი პატარა ძმა, რომელიც მაშინ თქვენთან გახლდათ, ნეროს მოშორებამ ისე შეაწუხა, რომ ავთ გახდა, თევზე მეტი იწვა და სულ ბოდავდა და ტიროდა, ნერო მომიყვანეთო. იმედი გადაწყვეტილი გექონდა, ექიმმა თქვა, აღარ მორჩებაო კიდევ ეაზიარეთ... უეცრათ ნერო მოიჭრა, გამხდარი, გასერილი, დაღალულ-დაქანცული... როგორც კი დაინახა ლოლომ, მაშინვე გამობრუნდა... მას აქეთ ათი დღე გავიდა, ლოლო ჯერ



ახალ დაბადებულ ბავშავით სუსტია, მაგრამ ჩვენ მაინც გვეცნობს და დღითი დღე უკეთ ხდება... ახლა ყველაფერს ჭამს რასაც კი ვაძლევთ, სულ ნეროს უყურებს და მხიარულათ იღიმება... ბატონო, მე ვიცი, რომ თქვენ შეგიძლიათ კანონით უკან წაგვართვათ ძალლი, მაგრამ რადგანაც ლოლოს ისე უყვარს, დაგვიტოვეთ ჩვენ და წაიღეთ, თუ შეიძლება, უკანვე თქვენი ფული! მე ჯარში წავალ, რა მიზეზს! ღმერთი ხელს მოგვიმართავს...

სანდრომ ამოიღო ჯიბიდან ფული და კრძალვით გაუწვდინა ლორდს. ლორდმა ხმა ამოუღებლივ უკან წალღებინა ხელი და შეიღწა მიუბრუნდა:

—ვიქტორ, გაიგე ყველაფერი?

ბავშვა ბალიშში ჩამალა თავი.—კი, ყველაფერი გაგიგე! დარჩეს ლოლოსთან ნერო! ჩემთან ის ბედნიერი არ იყო...—თქვა ბავშვა და მწარეთ ტირილი დაიწყო. თუმცა ძალიან ეფერებოდა და ანაზებდა ძალს, ვერაფრით ვერ შეიჩვია. ნეროს ის არ უყვარდა და გაიქცა ისევ ლარბ, მშვიერ ბავშვებთან, რომლებიც უთუოთ ყოველდღე საჭმელსაც ვერ უშოვნენ. საბრალო ბავშვი მდიდარი და განაზებული იყო, თითქმის ყოველი მისი სურვილი სრულდებოდა, მაგრამ ნეროს სიყვარული კი ვერაფრით ვერ მოიპოვა.


სანდროს არ ესმოდა, რასაც ლაპარაკობდნენ ლორდი და მისი შვილი უცხო ენაზე. მან დადვა ფული ფანჯარაზე და ისევ მიუბრუნდა ლორდს:

—გევედრებთ, ბატონო, აიღეთ თქვენი ფული! დაგვიბრუნეთ, ნუ წაგვართმევთ ნეროს! ჩვენ სხვა ძალს გიშოვნით და ნეროსავით გავწვრთნით! ყველა ძალლი ჭკვიანია, ფოკუსებს ადვილათ ისწავლის. მოგვეცი თუკანვე ნერო, ბატონო! რამხელა მანძილი გამოირბინა საწყალმა და მაინც მოგენახა ჩვენ, თქვენ ხომ რკინის გზით წაიყვანეთ, გზას ვერ ხედავდა, ენაც ხომ არა აქვს, რომ ვისმესთვის ეკითხა!..—სანდრომ ცრემლები მოიწმინდა. ლორდიც აღელვებული იყო.

—არა, მე არ წაგვართმევთ ძალს!—თქვა მან.—მაგრამ არც ის მინდა, რომ ჯარში წაგიყვანონ! ეგ ფულიც ისევ შენ გქონდეს, სამაგიეროთ სხვა ძალს უშოვნი და გაუწვრთნი ჩემ შეიღწა! ხეალ მოვალ და ენაზე შენ ძმას და დედას. რა ჭკვიანი ყოფილა ნერო!

5-40

საქართველოს  
საბჭოთაო



საქართველოს საბჭოთაო

ქრონიკა

345 / 1896/2

1325  
3205

იზარდო, მშენებელი  
დაპუბლიკაციის განყოფილება  
ი. დ.

№ V

საქართველოს საბჭოთაო

კაპიტალი	№ 903
საბჭოთაო	№ 1092
საბჭოთაო	№
საბჭოთაო	№
საბჭოთაო	№ 9979

თბილისი

სტამბა კ. დ. როსტინიანცისა || Тип. М. Д. Ротинианца. Гол. пр., д. № 41.  
1896.

ენ იფიქრებდა, რომ ფლორენციაში დაბრუნდებოდა რომიდან! — გაკვირვებით იმეორებდა ლორდი.

ძნელი წარმოსადგენია, რა გახარებული იყო მთელი ოჯახი, როცა სანდრო ამისთანა ამბებით დაბრუნდა სახლში. მაშინვე გვიღო დაიბარეს, ასი თუმანი მი! ცეს და ის სიამოვნებით დათანხმდა ჯარში წასვლას, ლოლო — სრულებით მოჩჩა. ნერო უწინდელივით გასუქდა და გამხიარულდა. ის ვერ უამბობდა, რასაკვირველია, თავის მეგობრებს, როგორ გამოიგნო რომიდან გზა, რამდენი უბედურება დაატყდა მოგზაურობის დროს თავზე, მაგრამ ის და ლოლო კიდევ უფრო გულითადი მეგობრები გახდნენ და ერთი წამითაც აღარ შორდებოდნენ ერთმანეთს!

დადგა ზამთარი, ლოლოს ოჯახი სპეციაში გადასახლდა. იქ ლორდს საკუთარი მამული ჰქონდა; სანდრო მან მებღვთ იქირავა და ეს უკანასკნელი გულ-მოდგინეთ ასრულებს თავის მოვალეობას.

პატარა ვიქტორი თითქმის სრულებით მოჩჩა, უწინდელი სისუსტისა აღარა ეტყობა რა; ის ძალიან დაუმეგობრდა ლოლოს და ორივე მეგობარი მთელი დღეობით ეთამაშებიან ხოლმე ნეროს დიდ ბაღში.

— ახლა ლოლო მებღვთის შესწავლას აპირებს. მანამდის კი ლორდის მეუღლე მას თავის შვილთან ერთად წერა-კითხვას და ანგარიშს ასწავლის... ხშირათ მოხვევს ხოლმე ლოლო ხელს თავის საყვარელ მეგობარს ნეროს, და ეკითხება:

— ნერო, მითხარი ერთი, როგორ გამოიგნე გზა რომიდან ფლორენციაში?

პასუხის მაგივრათ ნერო სიყვარულით შეხედავს ხოლმე მას თავისი ჰკვიანი თვალებით და გააქიციანებს კუდს.

კლიკო.







## გლეხის სიმღერა

ბა ძმებო, გავისარჯოთ,  
 დავიმუშაოთ ყანაო!  
 გლეხნი ვართ მარტო მტუშაკნი,  
 სხვა შეგვეწევა განაო?

ღმერთია მისი მოწყალე,  
 ვინც შრომითა თფლი ღვარაო,  
 პირველათ იგი ვახსენოთ,  
 მერმე ვთქვათ „ღელი - ნანაო!“

პური და ღვინო შევკრიბოთ  
 და ბევრი თივა ჩალო,  
 ნუ სწუხართ, დრომდის რო ვიყოთ  
 ჩვენ სხვისი მაჩანჩალო!

ყანავ, დაგლოცოს უფალმა,  
 მოგფინა თვისი ძალო;  
 დღისით მზის სხივმა შეგამეო  
 და ღამით ცვარმა გბანაო!

დიდის და მცირის ნტუგეშო,  
 ხარ ყველას საყვარელიო,

მეც, შენი ძემა საწყალი,  
ყველაფერს შენგნით ველიო

ჩიტუნებიც შენ დაგხარის,  
თქვეს ტკბილი „მადლობელიო“;  
მოძებნეს შაშვი, მერცხალი,  
ბუღბუღი მგალობელიო.

ჭია-ღუბებიც შენ დაგდეგს,  
საქმე აქვთ საზრუნველიო...  
ყოველი კაცის იმედო,  
ადრე არ გამოგველიო!

უფალმა შენ ავაშოროს,  
რაც იყოს მაგნებელიო;  
დღითი მზემ სხივნი მოგფინოს  
და ღამემ ცვარი სველიო!

საწყალნი გლეხნი შევყრილვართ  
დაგმღერით „ორი დელასო“;  
მისთვის ვართ იმედიანათ,  
რომ შენგნით ველით შევლასო,

დიდ კაცობას და სიმდიდრეს  
შენ განაცვალებთ ყველასო.



## მ რ ი ქ მ ა .

(ჩინური ზღაპარი).



ერთსელ ჩინეთში ცხოვრებდა მანდარინი ტყუ იმასა ჭეზუ- და ორი ვაჟი. ძმები სრულე- ბით არა გვანდენ ერთმანეთს არც შე- სედულებით, არც სასიათით. უფრო- სი, კია-ტანი, იყო კოჭლი, უღაზათო და სუსტი ემაწვილი; სასიათით კი მშვიდი და კეთილი. ვანგ-ზო ორი წლით იყო კია-ტანზე უძეწო- სი. სიღამაზით იმას ვერც ერთი „მხეთ-უნახავი“ ქალი ვერ შეედრე- ბოდა, მაგრამ სასიათი კი მეტათ სა- შისლარი ჭქონდა! მშობლები ანები- ერებდენ და რეზიდენ იმას: ეოველ სურვილს უსრულებდენ; არაოდეს არა სჯიდენ, არ უწუნებდენ მოქმე- დებას, ზირ-იქით სულ აქებდენ და უბღერსებდენ. უფროს შვილს, კია- ტანს, ძამა ძალიან მკაცრათ ექცეო-

და, მაგრამ საწეხლი ემაწვილი მოთმინებით იტანდა ძამის უსამართლობას. არც დედას უუვარდა კია-ტანი, ის ეურად-



ლებას არ აქცევდა კია-ტანის კეთილ სასიათს და ზიზ-  
დით უუურებდა იმის უღამაზო სახეს და უძნო სია-  
რულს.

ვანგ-ზოს არ აკლებდენ ძვირფას სათამაშოებს და სა-  
უკეთესო ხილს, რომელსაც საგანგებოთ მისთვის იბარებ-  
დენ შორი ქვეყნებიდან. უკერავდენ იმას ძვირფას ტანი-  
სამოსს. უფროს შვილს კი უბრალო ტილოს ტანისამო-  
სი ეცვა.

ვანგ-ზოს ეველა ეს უუუჭებდა სასიათს. ისა ხედავდა,  
როგორ ამცირებდა დედ-მამა კია-ტანს და თითონაც მოი-  
ძულა თავისი ძმა და ჩავრავდა მას.

გაკვეთილების შემდეგ ძმები დასეირნობდენ სოლმე  
ბაღში და რვაგდენ თავიანთ ბაღჩაში ევაგილებს და ხე-  
ხალებს. ვანგ-ზოს ბაღჩა, რასაკვირველია, უკეთესი იყო,  
რადგან თითონ მებაღე უვლიდა იმას. კია-ტანის ბაღჩას  
კი მებაღე არაოდეს არ მიხედავდა. რაც საუკეთესო  
ხეები და ევაგილები იყო ვანგ-ზო თავის ბაღჩაში რვაგ-  
და და მონარჩენი კი, კია-ტანს ერგებოდა სოლმე.

ერთხელ კია-ტანი მეტათ განარებული იყო: ბიძამ  
ასუქა ჰატარა ხე „კუი-უა“, რომელიც ფოთლებით დაფ-  
ნის ხესა ჰკავს და შვენირი სუნინი ევაგილი იცის;  
წელიწადში ორჯელ ჰევავის და დიდიც იხდება. ვანგ-  
ზოსაც სწორეთ იმნაირივე ხე ასუქა ბიძამ, მაგრამ ხემ  
არ იხეირა. როცა კია-ტანის სეუარელი ხე აევაგდა, იმან



განკეთა თბიგული და უთავაზა თავის ძმას. ვანგ-ზოს ძალიან შურდა, რომ კია-ტანის ხედი იხარა და იმისი ხედი განხა: მადლობის მაგიერ, იმან დაახეთქა თბიგული მიწაზე და ფერათ განსრისა.

საბრალო კია-ტანი, შესაროდა თავის ხეს, უვლიდა, წყალს არ აკლებდა. წარმოიდგინეთ იმისი მდგომარეობა, როცა ერთ დილით ნახა იმან, რომ მის საყვარელ ხის ძირში ვიღასაც ჩაერჭო სამი დიდი ლურსმანი!.. გული მდუღარებით ავესო საბრალოს. ცრემლები მოერიხ. ვის მოუნდომებია იმისი ხის დაღუპვა! ვანგ-ზო იქვე ასლო ევაგილებს ჰკრეფდა. სახე როგორღაც დაღვრემილი ჰქონდა. კია-ტანს საშინელმა ეჭვმა გაურბინა გულში... მაგრამ არა, რა საფიქრელია! ნუ თუ იმისი ძმა იკადრებდა?.. იმან ერთხელ კიდევ შესედა თავის ძმას: ვანგ-ზო შერცხვენილი და თავ-ჩადუნული იდგა. ცხადია, რომ ეს მისი საქმე იყო! სისხლი თავში აუვარდა კია-ტანს, გულმა კენესა დაუწყო, სული შეუკუბდა. ადელევებული ეცა ბოროტ ემაწვილს. ვანგ-ზო შეძინდა: დაუჩოქა ძმას, გამოუტყდა ეველაფერში და შესთხოვა ჰატევება. კია-ტანს სიბრახით აღარა ესმოდა-რა. კიდევ მოიძარჯვა ხელი, რომ დაერთვა ვანგ-ზოსათვის, მაგრამ სუსტი ემაწვილი ისე საცოდავათ შეჭყურებდა, რომ თითონ კია-ტანს მოერიხ ცრემლები და ხელი დაუბვა. ვანგ-ზო კისერზე მოესვია ძმას და კოცნა დაუწყო.



სე გასმა. დედ-მამა აუკედრდა კია-ტანს — ვერ უვლი-  
 დი და გახსმეო. კია-ტანი კი ბედნიერი იყო: თუცა  
 იმისი შვენერი სე გასმა, მაგრამ მძა სომ შუერიგდა!

ამას შემდეგ ვანგ-პო კარგა ხანი მშვიდობიანათ ცხოვ-  
 რებდა თავის ძმასთან. იქნება იმიტომ, რომ ეშინოდა იმი-  
 სი, ან, იქნება, სინიღისი აწუსებდა. ერთი სიტყვით,  
 ვანგ-პო თავს იკავებდა და არაფერს აწუეინებდა კია-ტანს.  
 ერთხელ კიდევ თხოვა კია-ტანს ერთათ წავიდეთ სათევ-  
 ზათათო. კია-ტანი სიხარულით დათანხმდა. ისინი ჩა-  
 სხდენ თავიანთ ნავებში, წაიუვანეს რამდენიმე ზღვის ეო-  
 რანი და შუა-დღემდის ითევზავეს. — ჩინეთში თევზაობენ  
 გაწრფთილი ფრინველებით, რომლებსაც ზღვის ეორნებს  
 ეძახიან. ნავში მსხდომნი თევზს რო დაინახვენ, ნიჩაბს  
 დაჭკრავენ წუალზე. ამ ნიშანზე ფრინველი გადასტემა  
 წუალში, დაიჭერს თევზსა და აიტანს ნავში. რომ ფრინ-  
 ველმა ვერ ჩაულაპოს თევზი, კისერზე რგოლს უკეთებენ  
 მჭიდროთ. თუ თევზი დიდი შესვდა და ერთი ფრინველი  
 ვერ ერევა, მაშინ ჩაუშეულებიან დანარჩენებიც და ერთათ  
 ამოათრევენ თევზს.

იმ დღეს ბედმა არ გაუღია ვანგ-პოს, იმის ეორ-  
 ნებმა სუთიოდე თევზი ძლივს დაიჭირეს. კია-ტანს კი  
 თევზით სავსე კალათა მიჰქონდა შინ. ვანგ-პოს ეს ძა-  
 ლიან შურდა. გაჯავრებული მიდიოდა შინისკენ. კია-ტან-  
 მა უთხრა: შუასე გაყოთ თევზებიო, მაგრამ იმან არ



ისურვებ. შინ რო მივიდენ, ვანგ-პო მოესვია დედან და მოართო ტირილი. დედა ბევრს ესვებდა, მითხარი რა ვა-ტირებსო, მაგრამ ვერ ათქმევინა. ბოლოს, როგორც იყო, წუწუნით უთხრა, რომ მე ბევრი თევზი დავიჭირე, მაგრამ კია-ტანმა წამარბთვაო. ამხარნი სიცრუის ვაგონება-სე კია-ტანს თავ-ხარი დაეცა. ის ვაუეითლდა და კბი-ლებს აკრატუნებდა. გაშფოთებულმა მამამ შეჭევვირა იმას:

— შე უბედურო, შენა! როგორი მახინჯიცა ხარ, გუ-ლიც ისეთივე ბოროტი გაქვს. დამეკარგე აქედან! თვალით აღარ დამენახვო!

ასე უსაფუძვლოთ გათახსირებულმა კია-ტანმა საუვე-დურით და სიბრბლულთ შეხედა თავის ძმას და გარეთ გავიდა. ვანგ-პოს შერცხვა და შეეცოდა ძმა: ის დიდთ დამნაშავე იყო კია-ტანთან, მაგრამ მანც თავი ვერ შეი-კავა და არ გამოტედა. ის მხოლოთ შეესვებდა დედას, რომ კია-ტანისთვის ეპატეებიათ დანაშაული. იმათაც აუსრუ-ლეს თხოვნა და შემდეგ კაი ხანს სალანპარაკოთ ჰქონ-დით იმისი გულ-შემატკივრობა.

აი ასე მიდიოდა მთელი სიუმაწვილე ორი ძმისა. ერთს ეველა ჩავრავდა, მეორეს კი ეველა ანებიერებდა. ბოლოს, ისინი ვაიხარდენ, ვანთავეს სწავლა, დავიჭირეს ეგზამენი, მიიღეს მანდარინობა, შევიდენ სამსახურში. მაგ-რამ კია-ტანი, თუმიცა სწავლული იყო, მანც სამსახურში

წინ ვერ მიდიოდა. ვანგ-ზო კი ეოველისფერში იბარჯებდა. ძაღვ უძაღლეს ხარისხაშდისაც მიაღწია: მიიღო გუ-კანგის ოლქის უფროსობა. ის ძაღვ იმპერატორისა და ხალხის საუკარველ ზირათ გახდა. მშობლები ხომ მისგან აღტაცებაში იყვნენ, მეტადრე ძალიან გაინახრეს, როცა ვანგ-ზომ დანიშნა კია-ტანი უფროს სასინაღრათ.

ბედი ეოველთვის შესწევდა ვანგ-ზოს. სამსახურს არ ასრულებდა და მხოლოდ ქეიფობდა, მაგრამ ეველა ამას ის სერსინათ ძაღვად. ერთხელ იმპერატორის მეფაღუურემ შეატყობინა უძაღლეს მთავრობას, რომ იმ ოლქის სასინაში, რომელსაც ჭმართავს ვანგ-ზო, დიდი უწესოება არისო, ვანგ-ზო ძლიერ შეწუხდა და კამოაცხადა: თუძცა შევამჩნიე უწესოება, მაგრამ ვერ ვბედავდი საჩივარი შემომეტანა ჩემ ძმასე, უფროს სასინაღარზეო; ასლბ კი იძულებული ვარ დავასახელო ის ზირი, რომელიც დამნაშავეა ამ საქმეშიო. კია-ტანი მიიუვანეს სასამართლოში. ისე საბუთინათ და დაბეჯითებით მართლულობდა თავსა, რომ მსაჯულები აშკარათ დარწმუნდნენ მის სიმართლეში, მაგრამ ვანგ-ზომ, ნამდვილმა დამნაშავემ, მოიყიდა ცრუ მოწმები და კია-ტანმა ვედარ იმართლა თავი. ის, რომელიც ეოველთვის კეთილსინიდიისიერათ ასრულებდა თავის თანამდებობას, ძალით გაამტყუნეს და დაღუპეს!... კია-ტანი მისვდა, ვინც მოქ-





მედებდა მის წინააღმდეგ და... ერთხელ კიდევ მიუტევა მას.

უბედურს კია-ტანს გაღუწევიტეს სიკვდილი. იმან გულ-გრილათ მოისმინა ეს გარდაწვეტილება: სიცოცხლელე მანც მობესრებული ჰქონდა. მაგრამ ვანგ-ჰომ, ვერ გაბედა ეკისრა ასეთი დიდი ცოდვა, გამხდარიყო მძის ძველელი. ის მივიდა იმპერატორთან, დაუჩოქა და შესთხოვა, არ დაესჯათ სიკვდილით იმისი მძა.

— თქვენო იმპერატორებოთი უდიდებულესობავ, ეოველთვის ეოფილხართ ჩემი მოწყალე, მაგრამ ერთი წუხლობა კიდევ მოიღეთ: უბედურმა ჩემმა მძამ დაივიწყათვისი მოვალეობა და გაფლანგა საზინა. ის დამნაშავეა, რა თქმა უნდა, და სასჯელის ღირსი. მე თითონ დავაგენე ის უფროს საზინადრათ, და დიდათ დამნაშავე ვარ, რომ ვერ ვადევნე თვალ-უური, მაგრამ თქვენმა უდიდებულესობამ ეს დანაშაული მძატია: შეუმსუბუქეთ სასჯელი ჩემ მძასაც. თვალ-ცრემლიანი გევედრებით, ჩემო ხელმწიფე, მოიღეთ ეს წუხლობა ჩემ მძასე იმ ღვაწლის გამო, რომელიც მიგვიძღვის სახელმწიფოს წინაშე მე და ჩემ წარჩინებულ წინაპართ.

იმპერატორი ჩაფიქრდა. არ უნდოდა კანონის წინააღმდეგ მოქცეულიყო, მაგრამ, ბოლოს, ის მოარბილა ცბიერი ჰირმოთნის თხოვნამ.

— მიზატეობა თქვენი მძისათვის სიკვდილით დასჯა,



ქართული  
წიგლმწირობის  
სამსახური

03403806466 10703768563

თბილისი

Дозволено цензурою Тифлисъ, 25-го Мая 1896 года.

საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განკარგულებაში

საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განკარგულებაში

საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განკარგულებაში

უთხრა იმან ვანგ-ზოს, თუცა ეს ცუდი მგალობთა კი იქნება ხალხისათვის. მაგრამ ამ საქმით ერთხელ კიდევ დაკომტვიცებთ, რომ მე თქვენი მწვალობელი ვარ. გამოუცხადეთ, რომ სასჯელი შემიცვლია, ათა წლით მიწაში საძუძაოთ გაიკზავნება. დაიმპვიდეთ გული და ეცადეთ დაივიწოთ, რომ თქვენა გვაუთ ძმა, რომელიც მხოლოთ თქვენ ოჯახს ჩირქსა სცხებს!

კია-ტანს გამოუცხადეს ახალი გადაწვევტილება. — იმან მწარეთ გაიღიმა და შეცას შესედა, თითქო სამართალს თხოვსო. სამ დღეს შემდეგ მას დაჰკრეს ასი წკეპლბა მრავალი ხალხისა და ურცხვი ვანგ-ზოს თანა-დასწრებით. ხალხი ზიზღით იხსენიებდა კია-ტანს. შემდეგ მას ბორკილი გაუუარეს და კატორგაში წაიუვანეს.

კია-ტანი შემთხვევით სამშობლო სოფელზე გაატარეს. ნაცნობი ადგილების დინახვაზე იმან ველარ შეიკავა ცრემლები. კია-ტანის დედ-მამა ცოცხლები აღარ იყვნ. მშობლების საფლავს რომ მიუახლოვდა, ადელეუბული კია-ტანი მუსლ-მოდრეკილი დაემსო და იწეო ლოცვა. ევედრებოდა მშობლების სულის, რომ მოედოთ მასზე კურთხევა, უტევებდა იმათ ეოველსავე წყენას, რაც კი მიევენებინათ მისთვის სიყმაწვილეში. არც ვანგ-ზო დაივიწა: ისიც შეავედრა მშობლებს. ამ მცირე ლოცვას შემდეგ ის ადგა, უკანასკნელათ მიათვალ-მოათვალირა სამშობლო ადგილი და დაღონებული გაუდგა გზას. ამ დროს იმან



დაინახა ძვირფასი ეტლი: ვანგ-პო თავისი მხლებლებით მიდიოდა სასახლეში იმპერატორთან. შებორკილი ძმის დანახვასე ის გაფითრდა და თვალი მოაჩინდა.

— ეჰ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ჩემო ძმა! თქვა კია-ტანმა. იუზ ბედნიერი, თუ კი შეგიძლია. მე შენ დამღუპე, მაგრამ არა გწვევლი: არ შემიძლია დავივიწყო, რომ შენ ჩემი ძმა ხარ. მშვიდობით საუკუნოთ!

მაისის დასაწყისში ვუ-შანგის მასრაში დიდი დღობა იყო. მრავალ ხალხს მოეყარა ერთათ თავი. ვეელას სსვა-და-სსვა სამუშაო იარაღი ეჭირა ხელში, მათ წინ მიუძღოდნენ მეძუსიკენი და მოთამაშენი. ამ აუარებელი ხალხის წინ მიჰქონდათ ვეებერთელა ოქროს რქებიანი თიხის ძროხა, ძროხას მისდევდა ჯოხით ბიჭი, რომელსაც ცალი ფეხი ტიტველა ჰქონდა, ცალი შემოსილი: ამბობენ, ეს შრომისა და მეცადინეობის ნიშანიაო. ამნაირათ მთიარ-მოიარეს მინდვრები და შემდეგ მივიდნენ მთავარმართებლის სასახლესთან. აქ, მის სასახლის ფანჯრებ წინ, დაამტვრიეს თიხის ძროხა, ამოაწვეს იქიდან ზატარ-ზატარ ძროხები და დაურიგეს წარჩინებულთ. მთავარმართებელმა წარმოთქვა სიტყვა მეურნეობის სარგებლობასე. დღესასწაული გათავდა თამაშით და საერთო ცეკვით.

მთავარმართებელი გაემკზავრა აგარაკში. გზასე იმას



დაუხვდა მეამბოხეთა შეიარაღებული გუნდი. ზოგი მისი მსლებელთაგანი მოკლეს, ზოგი გაიქცენ. მთავარმართებელი დარჩა უქომაგოთ და უიარაღოთ. მეამბოხენი ევიროდენ:

— სიკვდილი მტარვალს, სიკვდილი! საკმაოთ გვეტანჯა მკან. იმპერატორი არ გვისმენს საჩივარს, ჩვენ თითონ მიუწოთ მკვას სამაგიერო!

მთავარმართებელი ვანგ-პო მამცაათ იგერებდა მტრებს, მაგრამ დასჭრეს, და კიდევ მოჭკლავდენ, რომ ამ დროს არ მიშველებოდა მას ერთი მონძებში გახვეული, გამხდარი და გაფითლებული კაცი.

— აი, თქვე უბედურებო, თქვენა! ძრისხანეთ შესძახა იმან, — ლუკმა-ლუკმა რო ამკუწოთ, მანც არ დაგანებებთ ჩემ მძას მოსაკლავათ. ისინი ეცენ საცოდავს და თვალის დახამხამებაზე გაქელეს. შემდეგ ვანგ-პოს მოკვლაც მოინდომეს, მაგრამ ამ დროს მიეშველენ ჯარის კაცნი და გაჭფანტეს მეამბოხენი.

უბედური გლახაკი, ჯერ კიდევ ცოცხალ-მკვდარი, წამოაყენეს. წარმოიდგინეთ ვეელას გაკვირვება: ეს გლახაკი იყო ვეელასგან მივიწეებული კია-ტანი, რომელიც მოდიოდა მშობლების საფლავის თაყვანის საცემლათ. იმან უკანასკნელათ აახილა მომაკვდავი თვალები და ნული ხმით წარმოთქვა:

— ხსლბ მძაო, ვეელაფერი გათავდა ჩვენში, მე შევა-



სრულე სასჯელი... ბედნიერთა ვთული ჩემ თავს, რომ  
 სიკვდილს გადაგარჩინე... აი, ჩემო ძმა, როგორ გადავი-  
 სადე სამაგიერო!..

ვანგ-ზო მეტათ შეწუსებული დაცქეროდა მომაკვდავს;  
 ტირილით დაწვდა იმის ხელს და აკოცა...

ვანგ-ზომ დიდი ამბით დახსაფლავა თავისი ძმა კია-  
 ტანი; რამდენსაზე დღეს შემდეგ თავიც დაანება უმაღლეს  
 სამსახურს და ბერათ შედგა. არაფინ იცოდა ნამდვილი მი-  
 ზესა მისი ამნაირი მოქმედებისა. მსოფოთ სიკვდილის  
 წინეთ მისწერა იმან იმჟერატორს უოველივე სიმართლე  
 თავის თავსე და კია-ტანსე. ის თხოვდა იმჟერატორს  
 სიმართლის აღდგენას და კია-ტანის სახელის ჩაწერას  
 წარჩინებულ წინაპართა სიაში.

უოველივე ეს შესრულეს და, უბედურ კია-ტანის სახ-  
 სოვრათ, დადგეს მეგლი იმ აღვილს, სადაც კია-ტანმა  
 სიკვდილს გადაარჩინა თავისი ძმა.

აღ. ბარნოვი.




ბავშვის სიმღერა.



პატარა ვარ, გავიზდები,  
გავაზარებ დედასაო,  
შევიტყობ და შევისწავლი  
ჩემ სამშობლო ენასაო!

პატარა ვარ, გავიზდები,  
შემოვივლი ქვეყნის პირსა,  
იმედიც მაქვს, რომ ოდესმე  
დამარქმევენ ძლიერ-გმირსა.

ტ. ლ.





### პირუტყვითა ჭკუა-გონება. X

მაწვილებო! თქვენ ყოველ დღე თქვენის თვალით-ხედვით სხვა-და-სხვა შინაურსა და გარეულს ფრინველებს, პირუტყვებს და მწერებს. ზოგი მათგანი ისე დაბრკელებულია გყავთ, რომ სიცოცხლეს უმწარებთ, ან უსპობთ, როდესაც ბავშური, რეგენული ხუს-

ტური მოგივლისთ. მაგალითათ, თქვენს ცელქ ხელებს რამდენჯერ კისერი მოუგრებია პაწაწა ჩიტებისათვის; რამდენჯერ ბუდე ჩამოგისულიათ ფრინველებისათვის, ბარტყები ამოგისხამთ და იმათი საბრალო დედ-მამისთვის, შვილების სიბრალულითა და ჯავრით, გული მოგაკლავთ; რამდენჯერ ფეხით გაგისრესიათ ნამკეკა ჭიანჭველები, კალიები, ჭა-ლუები და სხ. რამდენჯერ ხელში გიჯიჯგინათ კატის ნორჩი კნუტები, ძაღლის ლეკვები და ხელის ჩერათ გაგინდიათ ისინი. ზოგს ამ პირუტყვებთაგანს, ზოგჯერ, თქვენც დაუბრკელებინართ და მრავალჯერ ჯავრი ამოუყრიათ თქვენ დაუდგეგრობაზე. მაგალითათ ფუტკრებსა და კრაზანებს რამდენჯერ უჩხელეტიათ თქვენთვის თავიანთი შხამიანი ისრები და შუბლზე, ლოყებზე, ხელ-ფეხზე კობები დაუსევამთ; რამდენჯერ გადაფითრებული და გულგახეთქილი, საშინელის ღრიალით, ქუდ-მოგლეჯილი გამოქცეულხართ, როცა სადმე გველი დაგინახავთ, ან მგლისა და ცოფ-ანი ძაღლის სახელი გაგიგონიათ! დიახ, თუმცა ყველა ამათ ცნობთ თქვენ, ათასჯერ გქონიათ მათთან რაიმე საქმე, მაგრამ იმათ ცნობერებაზე ბევრი არაფერი გაგიგონიათრა. თქვენ იმათ ცნობთ გარეგნულათ, უყურებთ როგორც უგუნურს, გაუგებარ, უგრძნობელ „მხეც-პირუტყვებს“ და არ იცით, რომ იმათაც აქვთ მოსაზრება, მოფიქრება, მოხერხება; ისინიც გრძნობენ და ახსოვთ მოფერება, ან შეურაცხყოფა; უყვართ



თავისიანეზი, იციან ამხანაგობა, მეგობრობა, ებრალებათ ისინი, როცა გაჭირვებაში ჰხედვენ, და შევლიან, ეხმარებიან, ესარჩლებიან, ისე, როგორც ჩვენ, ადამიანები ერთმანეთს. ზოგიერთი მათი ქცევა ისეთი გასაკვირველია, რომ თქვენ იქნება არაკათ ჩათვალთ, მაგრამ ნამდვილი სიმართლეა და არა მოგონილი. ამისათვის მე მსურს რამე განზოტ ზოგიერთ თქვენ ნაცნობ ცხოველებზე, წაიკითხეთ ეს და თქვენ შეგიძლიათ შეადაროთ იმათ ქცევასთან თქვენი ყოფა-ქცევა, მიჰხადოთ იმათ შენერერ მაგალ-თს და გამოიკეროთ ცხოვრებაში.

ჭიანჭველა. რამდენიმე ჭიანჭველები გამწყობებულოყვენ თავიანთ დაქნილ ბილიკაზე და მიდი-მოდიოდენ. ერთმა კაცმა აიყვანა ერთი იმათგანი, დასვა გზის პირას და ჩამოამხო ზედ თიხა ისე, რომ მართო თავილა უჩანდა; სიარული და გამოსელა არ შეეძლო. რამდენმა ჭიანჭველამ გაიარ-გამოიარა იმის გვერდით, მაგრამ ვერ შენიშნეს. ბოლოს ერთი მათგანი წააწყდა დატყევებულ თავის მოძმეს, შეატყო, რომ ხეთათი რამე შემთხვევია და ცდილობდა გაეთავისუფლებია ტყეეობიდან. მაგრამ რომ ვერაფერი ღონე იღონა, მოშორდა იმას და მცირე ხანის განმავლობაში ისევ დაბრუნდა; მაგრამ მართო კი აღარა, თორმეტოდ სხვა მხლებლებით. ეს ჭიანჭველები მიეხვედენ თიხის კოშკს, რომელშიაც დაპატიმრებული იყო ჭიანჭველა, მარდათ გამოუთხარეს ძირი, გამოიყვანეს ამხანაგი, გაიგდეს წინ და გაუღდენ გზას.

ერთ კაცს უნდოდა დარწმუნებულოყო, მართლა ისე გონიერები არიან ჭიანჭველები, როგორც იმათზე ამბობენ თუ არაო, ამისათვის იმან დაუხვნა შაქარი, ჩაჰყარა პაწაწა ქილაში, ძეთით ჩამოჰკიდა ფანჯარასთან და ქილაში ჩასვა რამდენიმე ჭიანჭველა. ამათ აიღეს შაქრის თითო-თითო ნაფხენი, ამოიტანეს ზემოთ, ძათზე გაცოცდენ ფანჯრის ჩარჩომდე და ასე ჩამოვიდენ ძირს სხვა ჭიანჭველებთან. ამას შემდეგ იწყეს ჩარჩოზე მოგზაურობა სხვა ჭიანჭველებმაც. გაჰყებოდენ ძათს და იქიდან ჩადიოდენ ქილაში. ასე დაცოცედენ ჭიანჭველები შაქრისთვის ორი დღის განმავლობაში; შემდეგ კი შესწყვიტეს ძათზე ჯამბაზივით სიარული და იწყეს ჯგუფ-ჯგუფ-



ფათ თავის მოყრა, მოგროვება, ფანჯრის ფიცარზე, სწორეთ შაკრიან ქილის პირ-და-პირ. მაშინ ჭიანჭველების მეთვალყურემ ჩაიხედა ქილაში და ნახა იქ თორმეტიოდ ჭიანჭველა: იღებდნ ისინი შაკრის ნაფხვენებს, ამოჰქონდათ ქილის ნაპირამდე და იქიდან ჰყრიდნ ძირს, ფანჯრის ფიცარზე, სადაც სხვა ჭიანჭველები მზათ იყვენ; ჰკრეფდნ იმათ და ეზიდებოდნ საკუჭნაოში.

ერთ სახლში შეეჩვიენ ჭიანჭველები. ისინი აღიოდენ სტოლზე და მიერთმეფდენ სხვა-და-სხვა ტუბილეულობას, რომელიც იქ მუდამ მოიპოვებოდა. რომ თავიდან მოეშორებია ეს მოუწვევარი სტუმრები, სახლის პატრონმა გადადგა სტოლი კედელზე ცოტა მოშორებით და ფეხები ჩაუწყია წყლით საესე ჯამებში. ჭიანჭველებს არ უყვართ ცურაობა, კატასავით წყალში ფეხის დასეელება ეჯავრებათ, და როცა ისეე მივიდნ სტოლთან, შეჩერდნ რაკი წყალი დახვდათ და შეფიქრდნ. მაგრამ, რადგანაც პირის გატკობაც ძალიან უნდოდათ, და წყალიც განიერი არ იყო, რომ ბევრი ცურაობა მონდომებოდათ, გაბედეს, ახსენეს ღმერთი და შეცურდნ წყალში. ამ რიგათ მაინც ავიდნ სტოლზე. მაშინ სახლის პატრონმა სტოლის ფეხებს ძირზე ფისი წაუსვა, ფისზე გავლა კი ვეღარ შესძლეს ჩვენმა მსუნაგმა ჭიანჭველებმა და რამდენსამე დღეს სტოლზე აღარც ერთ ჭიანჭველას არ გაუელია. მაგრამ შემდეგ ისინი როგორღაც ისეე განდნ. სახლის პატრონს უკვირდა, თუ საიდან მოახერხეს იმათ სტოლზე ამოსვლა, თვალი ადევნა და აი რა ნახა: ისინი აღიოდნ კედელზე და როცა სტოლის სიმაღლეს აცილდებოდნ, გაღმობტებოდნ განზე და ზედ სტოლზე კი ცვიოდნ...

ჭიანჭველები შეეჩვიენ ერთ ხეს, სადაც ისინი პოულობდნ სასუსნაეს. ერთმა კაცმა გამოსაცდელათ დაასველა ტილო თუთუნის წვენში და შემოახვია ხეს ტანზე ირგელივ. რომელი ჭიანჭველებიც ხიდან ძირს ჩამოდოდნ, მივიდნ ტილომდის და ისეე უკან დაბრუნდნ. შემდეგ გაჰყენნ ქვემო ტოტებს, მიწისკენ რომ იყენ

დაშვებულები და აქედან ხტებოდენ მიწაზე; რომელნიც მიწიდან ხეზე აღიოდენ, ისინიც მოერიდენ თუთუნის წვენს და უკან გაბრუნდენ; აიღეს სველი მიწის ნამცეც-ნამცეცა გუნდები, მიიტანეს ხის ძირში და თითო-თითოთ დააკრეს, გაამწკრივეს სველ ტილოზე. ამ რიგათ გაიკეთეს მიწის ხიდი და ზედ თავისუფლათ იწყეს ყველა ჭიანჭველებმა მიმოსვლა.

რკინის გზის მანობლათ გაიკეთეს ჭიანჭველებმა ბუდე. საჭმლისათვის სიარულის დროს იმათ უნდა გადაეელოთ ლიანდაგზედ, რომელზედაც განუწყვეტლივ დადიოდენ რკინის გზის მატარებლები და მრავალ ჭიანჭველებს სრესდენ. მაშინ ჭიანჭველებმა გამოთხარეს მიწა ლიანდაგის ქვეშ და ამ გვირაბში დადიოდენ უშიშრათ და უვნებლათ. ერთმა მეთვალყურემ ამოქოლა კენჭებითა და მიწით ეს ხერხი და ეგონა ისევ ლიანდაგზე გაივლიან ჭიანჭველებიო, მაგრამ ისინი შეჩერდენ ლიანდაგთან, ხელმოკრეთ გაიკეთეს ახალი საძრომი და აქედან იწყეს სიარული.

ფუტკრები. როდესაც ზაფხულის სიცხისაგან საფუტკრე განურდება, შიგ სიცხე ჩაეარდება და ჰაერი შეიხუთება, ფუტკრები გამწკრივდებიან მთელ საფუტკრეში და ფრთებს იქნევენ, რომ სიკრილე ჩამოეარდეს. ერთხელ ისეთი ცხარე მზე იდგა, რომ ფუტკრებმა ვეღარა გააწყეს რა: ისინი იქნეოდენ ფრთებს შეძლებისა დაგვართ, მაგრამ სკაში უფრო-და-უფრო ჩამოცხა და თაფლი დნებოდა. მაშინ ფუტკრები გამოფრინდენ სკიდან, დასხდენ ზედ წყობისათ, ერთი ერთმანეთზე, რომ მზეს ვეღარ გავხურებინა სკა.


ჩვენში ფუტკრები საზამთროთ ინახვენ თაფლს. ერთხელ ჩვენებური ფუტკრები გადაიყვანეს თბილ ქვეყანაში, სადაც ზამთარ-ზაფხულ ერთნაირი სითბოა; მთელი წელიწადი ყვავილები ჰყვებიან და ფუტკრებს მუდამ შეუძლიათ ყვავილების ტკბილ-ტკბილა წვენის



შოენა. იქ პირველ ორ წელაწადს ფუტკრებმა ჩეკულებზე დასვეს საზამთროთ თავლის შენახვა, მაგრამ შემდეგ აღარ ინახედენ, რადგანაც ეს იმათთვის სრულიად საჭირო აღარ იყო.

კრაზანები. კრაზანამ მოკლა ერთი დიდი ბუზი, მოექიდა და უნდა წაეღო თავის ბუდეში. ბუზი მიიმე იყო და კრაზანა ვერ ერეოდა: მაშინ იმან მოკენიდა ბუზს თავი და მუცელი, შეინახა ისინი იქვე და ჯერ წაიღო მარტოკა გული. მაგრამ ფრენის დროს ქარი აურივდა ბუზის ფრთებს და კრაზანას უძნელდებოდა ფრენა. მაშინ ის ჩამოფრინდა ძირს, ფრთებიც მოაშორა და ადვილათ წაიღო მარტო გული. შემდეგ მობრუნდა შენახული თავისა და მუცლისათვის და ისინიც ცალ-ცალკე გადაიტანა ბუდეში.

მერცხლები. ერთმა მონადირემ თოფით ფრთაში დასჭრა ზღვის მერცხალი, რომელიც ჩაეარდა ზღვაში, მონადირეს უნდოდა გამოეტანა წყლიდან, მაგრამ ამ დროს მოფრინდნენ სხვა მერცხლები, შემოეხეიენ დაჭრილ მოძმეს; ორმა მათგანმა ჩაეღო ნისკარტი ფრთებში და წაწიალა, ამით გაჰყვეს სხვა მერცხლებიც. როდესაც პირველი ორი მერცხალი დაიღალა და დასვა დაჭრილი წყალზე, მაშინ ორმა სხვა მერცხალმა ჩასჭიდა პირი და წაიღო. ასე იცვლებოდნენ ორორი მერცხალი, სანამ დაჭრილი არ მიიყვანეს ერთ დიდ ქვასთან,



რომელიც მონადირის კარგა მოშორებით იყო. კაცი მიუახლოვდა იმ ქვას, რომ აყვანა დაჭრილი მერცხალი. ამ დროს ისევ მოფრინდა მთელი გუნდა მერცხლებისა; ორმა მათგანმა ისევ აიყვანეს ავთამყოფი და მოაშორეს იმ ადგილს. მაშინ მონადირეს შერცხვა და თქვა: „ფრინველი თქვე შენა—ჰხედავ როგორი ერთგულები არიან ერთმანეთისაო!“



ქ ა ი ს ი



განცრომაშია ბუნება,  
აყვავდა, მრავალ-ფერია,  
ვის ძალ-უძს მისი გამოთქმა,  
თუ რა ზომ შვენიერია!

\* \*

ფოფინებს შთა და გორები,  
მწვანეთ ჩანს ტყე და ველია,  
ისმის ფრინველთა ჭიკჭიკი  
ყოვლის მხრით, გულის მწველია,

\* \*

ბუღბუღნი განმარტოებით  
დღე-ღამ მჯდომელნი ვარდზედა,  
ხან-გამოშვებით დასტვენენ,  
რალაც უცნაურს ჰანგზედა.

\* \*

მუშაკნი მღიღეარ ყანებში  
მომხიბლავ მუშურს მღერიან,  
მწყემსნი შემდგარან მალლობზე  
ნახირს თავს გადაცქერიან.

\* \*

მეცხვარე მდგომი ფერდობზე  
კომბალზე დაბჯინებია,  
იქარეებს სალამურის კვრით,  
თუ რამ ზამთრისგან ენებია.

\* \*

მინდვრათ გასულან ბავშვები  
აღსაფსე მხიარულებით,  
ზამთრის დღეებში ტყვეთ ყოფნა  
არც-კი ემჩნევათ სრულებით.

\* \*

ორმა მერცხალმა ბუდე გაიკეთეს ერთ სარკმელ ქვეშ, მაგრამ ამ მზა-მზარეულ ბუდეს ბელურები დაეპატრონენ, შიგ მოიკალათეს და მერცხლებს აღარ ანებებდენ. ბევრს ეცადენ მერცხლები უსიამოვნო მდგმურის მოშორებას, მაგრამ ვერ მოახერხეს. მაშინ ისინი გაფრინდნენ და მოიყვანეს რამდენიმე სხვა მერცხლები. ყველას ნისკარტით ცოტ-ცოტა თიხა მოჰქონდათ. მერცხლებმა კალატოზობა კარგათ იციან და ხელათ თიხით ამოჰქოლეს ბუდის პირი, შიგ გამოამწყვდიეს და დაახრჩეს ბელურა. ეს ბუდე ჩამოიღო სახლის პატრონმა საჩვენებლათ და ყველა განცვიფრებით შინჯავდა ცოცხლათ დამარხულ ბელურა-ჩატს.

თუთიყუში — ფრინველია, რომელსაც აშინაურებენ და ჯაფარა და კაქკაქივით ლაპარაკს ასწავლიან. ნისკარტი აქვს თუთიყუშს სხეილი, ამობერილი, მაგარი და მოკაკული; ენა სქელი და მორკველებული. ისა ჭამს სხვა-და-სხვა ხილეულობას და მარცვლებს; ბუდეს იკეთებს ხის ფულუროებში და ორ-სამ კვერცხსა დებს. მალალი და მჭახე ხმა აქვს. ფრთები აქვს მოკლე და ამიტომ ცუდი ფრენა იცის: ზოგს გრძელი კული აქვს და ტიტველა ლოყები, ზოგს ლოყები ბალნიანი აქვს და თავზე ოფოფივით ქოჩორი. ერთ სახლში კატასა და თუთიყუშს კარგი მეკობრული განწყობილება ჰქონდათ, მაგრამ ერთხელ აკი ჩხუბი მოუვიდათ; — კატამ წაუქცია ფინჯანი, რომელშიაც თუთიყუშს საჭმელი ჰქონდა და ამან გამოიწვია ჩხუბი. გავიდა ერთა საათი. თუთიყუშმა თითქო დაიფიწყა კიდევ კატასაგან მიყენებული უსიამოვნობა. ის გადმოღვა სტოლის ნაპირას და ალერსიანი ხმით დაუწყო კატას ძახილი: „ფისო, ფისო! აქა ფისო! ციცო, ციცო! მოდი აქა!“ კატა მივიდა სტოლთან. თუთიყუშმა დაავლო ნისკარტი რძით საესე ფინჯანს, რომელიც მის გვერდით იდგა და ესროლა კატას. რაჟე გადაესხა სუფთა ციციუნის, ფინჯანი გატყ-



და და გაწუწულმა და შიშისაგან თავზარ დაცემულმა კატამ მოჰკურ-  
 ცხლა რაც ძალა და ღონე ჰქონდა. თუთიყუშმა ერთი გულიანათ-  
 სიცილი მართო: ის გახარებული იყო, რომ კატის ჯაერი ამოი-  
 ყარა.

ყარყატი — ფრინველია, რომელსაც მდინარეებისა და ტბების ახ-  
 ლო უუვარს ცხოვრება. ნისკარტი აქვს სქელი და გრძელი. თვა-  
 ლების გარშემო და ზოგს მთელი პირის სახეზე კანი ტიტველა აქვს,  
 უბალნო. ფეხის წინა თითები ძირში აპწკით აქვს შეერთებული,  
 როგორც ბატა და იხეს, უკანა თითა უფრო გრძელი აქვს და წი-  
 ნა თითებზე მალა აბია. ფეხები და ნისკარტი წითელი აქვს. ბუ-  
 დეს იკეთებს მალალ ხეებზე, ან შენობის სახურავებზე, სდებს ოთხ  
 თეთრ კვერცხს. ჭამს ბაყაყებს, გველებს, კალიებს და ამითი ძალიან  
 სასარგებლო ფრინველია.

ერთ კაცს ჰყავდა ეზოში მოშინაურებული ყარყატი. ერთხელ  
 ამ კაცმა მეორე ყარყატიც მოიყვანა და უნდა გაეშინაურებინა, პირ-  
 ელის ამხანაგათ გაეხადნა, მაგრამ ეს ორი ყარყატი ერთმანეთს ვერ  
 შეეთვისენ: შინაურმა როგორღაც აითვალწუნა, მიეარდა გარეულს  
 და ისე შეუბრალებლათ დაუწყო ცემა-ნისკარტით, რომ პატრონმა  
 საჭიროთ დაინახა გარეულის გათავისუფლება.

გავიდა ოთხი თვე. ერთხელ ამ ეზოში მოვიდა დაბრიყვებული  
 და ნაცემი ყარყატი, თან მოიყვანა სამი სხვა ამხანაგი. ეს ოთხი გა-  
 რეული ყარყატი მიეხვიენ შინაურს და იმდენი ცემეს, იმდენი  
 რომ საწყალი შინაური ყარყატი ხელში შემოაკვდათ.

ყვავი. ერთ ეზოში დაბმული ძალლი ძვალსა ხრავდა და შეექ-  
 ცვოდა თავისთვის. ყვავმა შენიშნა ეს და პირში ნერწყვი მოუვიდა,  
 მოუნდა ძვალზე თავისი ნისკარტი გაეღესნა. ყოველი ხერხი იხმარა,

რომ როგორმე ძვალი მოეტაცა ძაღლისათვის, მაგრამ ვერას განდა: ძაღლი ძვალს პირიდან არ იშორებდა. ყვეფი ვაფრინდა და ცოტა ხანს შემდეგ მოიყვანა თავისი ამხანაგი, მეორე ყვეფი. ეს შემოჯდა იქვე ხეზე ძაღლის შორი-ახლოს. პირველმა ყვეფმა ისევე ძაღლის გარშემო დაიწყო ხტომა და ცუნცრუკი. ამ დროს ხეზე მჯდომმა ყვეფმა მოუარა ძაღლს უკანიდან, მარდთ ჩაჰკრა და ჩაჰკრა ნისკარტი კუდზე და გადგა განზე. ოთხფხს ემწევა, რასაკვირველია, ბასრი ნისკარტი და ეწყინა კიდევ. ის შეკრთა, ძვალი პირიდან გავარდა და უკან მოიხედა, რომ უსიამოვნო ხუმრობასთვის პასუხი მიეგო. პირველი ყვეფი ამ დროს მზათ იყო: დააცხრა ძვალს, იგდო კლანჭებში და ჰერი ბიჭო! ვაფრინდა. მას გაჰყვა ამხანაგიც.

ბატი. ერთ ქალაქ-გარეთ მრავალი ბატები დაუდიოდთ საძოვრათ. ამ ქალაქის მოედანზე ორ კვირაში ერთხელ ბაზრობა იყო გამართული, სადაც, სხვათა შორის, ჭინახულიც შემოჰქონდათ გასაყიდათ. მოედანზე ბევრი მარცვალი იხნეოდა, ეს გაიგეს ბატებმა და იწყეს საძოვრიდან მოედანზე სიარული, მაგრამ ყოველ დღე კი არა, ორ კვირაში ერთხელ და სწორეთ ბაზრობის დღის მეორე დილაობით. როგორ იგებდენ ამას ბატები, ვერაინ მიმხედარიყო. დანიშნულ დღესა და საათს ისინი შეგროვდებოდენ ერთის მხიარული ყიყინით, მობაჯბაჯებდენ მოედნისკენ და ერთგულათ ჰკრეფდენ დაბნეულ მარცვლებს. ზოგს ეგონა, რომ ბატები ჭინახულის სუნს იღებენო, მაგრამ არც ეს გამართლდა.


ერთხელ მოხდა, რომ დანიშნულ დღეს ბაზრობა აღარ იყო და მარცვლებიც არაფის დაუტრია მოედანზე, მაგრამ მეორე დღით ბატები მაინც თავის დროზე ჩეულებრივათ მოგროვდენ. აქედან ჩანს, რომ ამ ბატებს აღბათ შეეძლოთ გამოანგარიშება იმ ერთი დღისა ორ კვირაში ერთხელ.





ტრედი. ცხენი თოფრით შერიასა ჭამდა. იქვე ტრედი დადიოდა და თოფრიდან დაცეინულ მარცვლებსა ჰკენკავდა. როცა თოფრაში ცოტა-ლა დარჩა შერია, მარცვალი ძირს აღარ ცვიოდა და ტრედი პირცარიელი რჩებოდა. მაშინ ის აფრინდა მაღლა, დაიწყო ფთხრიალი და შიგ თვალებში ეცა ცხენსა; ცხენმა შიშის გამო თავი გაიქნია და თოფრიდან რამდენიმე მარცვალი წამოჰყარა. ტრედმა ეს მარცვლები რომ აკრიფა, ისევე ცხენს ეცა თვალებში, ცხენმა ისევე თავი გაიქნია და მარცვლები წამოჰყარა თოფრიდან, ასე გაიმეორა ტრედმა რამდენჯერმე, სანამ მსუყე მარცვლით ჩინჩახვი არ გაიტენა.

ღორი. ერთმა ღორმა გოჭები დაჰყარა. საძოვრათ იმას მთელი დღით თავის შეილები ტყეში დაუდიოდა და მხოლოდ საღამოობით მოდიოდენ შინ, სადაც საქმელი ეგულებოდა ხოლმე. როცა პატრონს დასჭირდებოდა, საღამოობით თითო გოჭს დაიჭერდა და დაკ-



ლაედა. ამ გვარათ იმან სამი გოჭი მოაკლო. ღორმა ბოლოს, შენიშნა რომ შეილები აკლდება და შემდეგ შინ მარტოკა დაბრუნდა. პატრონს უნდოდა გაეგო რა უყო ღორმა გოჭებს. უთვალ-თვალო ღორს და აი რა ნახა: მთელი დღე თავის გოჭებთან ძოვდა ღორი და როგორც

საღამო მოახლოვდა, გოჭები შორს ტყეში გარეკა და თვითონ შინ წამოვიდა. ეტყობა, ღორი მიხვდა, რომ შეილებს იმ ღროს ართმევენ, როცა საღამოობით შინ მოჰყავდა და გადასწყვიტა ტყეში დაეტოვებინა ხოლმე ისინი.



სპილო. სპილოები იხსამებენ ალერსს, მაგრამ არ იეიწყებენ არც წყენას. ერთმა აფიცრმა მოშინაურებულ სპილოს ერბო წასმული პური უთავაზა, მაგრამ ზედ დანაყილი წიწაკა მოაყარა. სპილომ გამოართვა პური, გაღეჭა, მაგრამ ვერ შეჭამა, რადგანაც წიწაკამ პირი გამოთუთქა. ამ შემთხვევას შემდეგ ექვსი კვირა გავიდა და ამე აფიცრს ისეე მოუხდა იმ სპილოს ნახეა და ალერსი დაუწყო. სპილო წყნარათ იდგა და აფიცრს ეგონა, რომ იმან დაიეიწყა მისგან მიყენებული წყენა. მაგრამ სპილომ იდროვა, დაიგუბა ხორთუმში ბლომით ტალახიანი წყალი, ასხურა თავ-მომწონე აფიცრს და თავით ფეხებამდე გაწუწა.



ქალაქებში მოჰყავთ ხალხის საჩენებლათ სხვა-და-სხვა მხეცები რკინის გალიებში დამწყვედეულები და დაწესებულ ფასს იღებენ იმათ საჩენებლათ. ერთ ამისთანა სამხეცოში, სხვათა შორის, ერთი კობტა და თავმომწონე კაცი შევიდა მხეცების სანაზავათ. ის მივიდა სპილოსთან და თავის შესაქცევით გაჯავრება დაუწყო; ბოლოს სპილოს ეაშლი მისცა და როცა სპილო ართმევედა, სულელმა კობტა პრუწამ ხორთუმში ქინძისთავი უჩხელიტა და განზე გაუხტა. სპილო გაბრაზდა. მხეცების მცველმა უთხრა: ახლა კი გაუფრთხილდი სპილოსო! ჩვენ კობტა-პრუწას ეს დარიკება სიცილათაც არ ეყო და თავმომწონეთ სხვა გალიისკენ გავმართა მხეცების გასაჯავრებლათ. ამასობაში კარგა ხანი გავიდა და ბოლოს ეს კაცი სპილოს გალიის გვერდით სხვა გალიასთან იდგა, სპილოსკენ ზურგ შექცეული. იმას აღარც კი ახსოვდა, რომ წელან სპილოს აწყენა, მაგრამ სპილოს კი არ დაეიწყებოდა ესა. იმან გამოჰყო თავისი გრძელი ხორთუმში გალიის მოაჯირიდან, მოკლიჯა ქუდი თავის შეურაცხმყოფელს, ლუკმა-ლუკმა დაუფხრიწა, ნაფლეთები შიგ ცხვირ-პირში სტყორცნა და ერთი მზიარულათ დაიღრიალა. მაცქერალმა ხალხმა რო ეს დაინახა, გულიანი ხარხარი დააყარა კობტა-პრუწას, ის კი შერცხენილი კარზე გამოვარდა უქუდოთ, ეტლი დაქირავა და მექუდეებთან გაექანა ახალი ქუდის საყიდლათ.

## კვერნა და ციუვი.

(რუსულიდან).



კვერნას ძალიან შიოდა. წინა დღეს დილიდან სა-  
 ლამოდის ნადირობდა, მაგრამ ხელში ვერა, იგ-  
 დო-რა. ვასშმათ ერთი გამხდარი თაგვის მეტი  
 არა ჰქონდა-რა და აბა ძილი რა ნაირათ მო-  
 ეკიდებოდა.

კვერნა შიშვილმა ადრე გამოადგომა, ტყეში სახე-  
 ტიალოთ გასწია. ცხვირი ძაღლა აეწია და განქარებული  
 საცუცნავს დაემუბდა.

სის ტოტებში ოდნავ გამოჩნდა ციუვის მოწითანო  
 ბეწვი. კვერნა სწრაფათ გამოუდგა, თითქმის  
 მიეწია უმწეო ჰირუტევის; ორივენი განქარებუ-  
 ლი ღარბიან ხეებზე, ეს-ეს არი კვერნა მი-  
 უახლოვდა კიდევ თაგვის მსხვერპლს, ციუვი ვე-  
 ღარ დახსწევს თავს, — მტერს სამხრათ ეყოფა.



ბოლოს ციუვმა იღონა ერთი ღონე; სის წვეროდან  
 უცბათ ჩამოხტა დაბლა — დედა-მიწაზე. ერთი თვალის და-  
 ხამხამებზე ისევ აცოცდა მეორე ხეზე, მერე იქიდანაც  
 უცბათ ჩამოხტა. დიდხანს ასე ახტოდა და დახტოდა.

კვერნა მშიერი, ძალიან შიან, თუმიცა ნერწყვი მოს-  
 დის ჰირში, მაგრამ ასეთი გაბედვით სტომა შინც არ შე-  
 უძლია და დაღონებული მიდის სხვა დავლის საძოვრათ.



## ს ა მ ი უ ნ ა რ ი .

( ო გ ა ვ ო ) .

**მ** რომა სელმწიფემ თავის ქვეშევრდომთ გამოუცხადა: ვინც ჩემ თვალ-წინ დიდს უნარს რასმე გამოიჩენს, მას ისე დაუასაჩუქრებ, რომ საუკუნოთ ბედნიერი შეიქნესო. ამ ბრძანებაზე სელმწიფეს სამი კაცი გამო-  
 ეცხადა: ერთს სელში წერაქვი ეჭირა, მეორეს ვეება ტი-  
 კი, მესამეს ნამგალი.

მეფემ წერაქვის ჰატრონს ჰკითხა: „აბა მითხარ, შენ რა უნარი გაქვს და ან სელში წერაქვი რათ გიჭირავ-  
 სო?“ — „ამ წერაქვითო“, მიუგო მან: „მიბძანეთ და რო-  
 შელ ქალაქსაც გინდათ ერთ დღეს, დილით საღამომდე  
 ისე დაუანგრევ, რომ ქვა-ქვაზედაც აღარ დარჩესო“.

შემდეგ მეფე მიუბრუნდა ტიკის ჰატრონს: „აბა ახლა შენ მითხარ, რა შეგიძლია და ან ტიკი რათ გიჭირავ-  
 სო?“ ამხნაც მიუგო: „მე, შენი ჭირიძე, მიბძანე და ამ  
 ტიკს, ღვინით სავსეს, უსუნთქებლივ დავცლიო“.



მეფემ ჰკითხა აგრეთვე მესამეს: მითხარ, შენ რილას შემძლები ხარ და რას ნიშნავს ეგ შენი ნამგალიო? — „მე“, მიუგო ამან: „ამ ნამკლით სამი დღის უნას ერთ დღეს, დილით საღამომდე, ისე მოვუკი, რომ თავთავიც აღარ გადაჩქესო“.

სელმწიფემ რა მოისმინა სამთავეს უნარი, ასეთი განაჩენი გამოაცხადა: „ვინც ერთს დღეს ქალაქის დანჯრე-ვას იკვეხის, ის ქვეუნი მავნებელი უნდა იყოს, ვინც ღვინით სავსე დიდი ტიკის დაცლას — ის თავის-თავის მტერი. ავის საქმისთვის ჯილდოს გაცემა სელმწიფეს არ შეუძენს.“

ამიტომ მიბრძებიან ჩემი საბძანებლიდან ასი-ათასი დღიური მიწა, ტეითა და ველით შემეობილი, მენამკლესთვის, რადგან ნაყოფიერი და ქვეუნიისთვის სასარგებლო უნარი მხოლოდ ამას ჰქონიაო“.

ალ. მ.—შეილი.



სიმართლე სიმდიდრეზე უძვირფასესია.

(რუსულიდან).

**მ**თი ახალგაზდა კაცი მივიდა თავის წინანდელ მასწავლებელთან და მოჰქუვა ჩვილს თავის მწარე ბედზე: „რომ იცოდე რა სელ-მოკლეთ ვცხოვრებ და ეოველისფერს ვითმენ! ეველა ჩემი ამხანაგები დიდი ხანია გამდიდრდენ და უდარდელათ ცხოვრებენ, მე კი გაჭირებამ ლამის გადამიტანოს“.

— „ნუ თუ მართლა შენ ასეთი საწუბალი ხარ? ჰკითხა მასწავლებელმა, — რისგანაა ეს? შენ, მკონია, სრულიად ჯან-მრთელი ხარ? ეს მარჯვენა ხელი ღონიერიცა გაქვს, სადიცა, სამუშაოთ გამოგადგება. მისცემ ვისმე ათას მანეთათ?“

„დამიფაროს ღმერთმა,“ უპასუხა ჭაბუკმა-ეს ახრათაც არაოდეს არ მამსვლია.

— „რამდენათ დამითობ მე შენ თვალებს, რომლითაც შეცქერიხართ ქვეყნის შვენიერებას, ან გამიცვლი რასმეზე შენს სმენას.

— „არც თვალებს, არც სმენას არაოდეს არა საუნჯეზე არ გავცვლი!“ უპასუხა ახალგაზდა.

— „აბა, მაშ ნუღარც ჩივი სიღარიბეზე“. — უთხრა მასწავლებელმა: „შენ გქონია ისეთი საუნჯეები, რომელნიც უძვირფასესია ეოველ სიმდიდრეზე, იშრომე და იქნები კმაეოფილი და ბედნიერი!“

ბეს. ეაშაძე.



## წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი .

ხალხური ლექსები.

სხვათა მოჯამაგრობას ადვილათ იტყვის ენაო,  
 დილიდან სალამომდისინ არ მქონდა მოსვენებაო:  
 დილით ძროხაში მგზავნიდენ, სალამოს ღორისკენაო;  
 ქორ-მეძებრებს თან მატანდენ, ინადირეო შენაო,  
 თუ კურდღელი დაიჭირო ტყავი შენ-ხორცი ჩვენაო,  
 და თუ მელა დაიჭირო, ხორცი შენ ტყავი ჩვენაო.

(წარმოდგენილი დ. ნახუციშვილისაგან).

ნეტავ იმის დედის ღმერთსა,  
 ვინც დაესწრება რთველშია,  
 ჯერ რომ გლახას ვაისტუმრებს,  
 მერე ჩაასხამს ქვევრშია.

(წარმოდგენილი კოჭე გრძელისაგან).

ბუხარო, ჩემო ბუხარო,  
 უშეშობასა სწუხარო?!



ზოგნი მათგანი შეტრფიან  
 ბუჩქში თაე-დახრილ იასა  
 და ზოგი ბუდეს უნგრევენ  
 პატარა ჩიტუნისა.

\* \* \*

ზოგან შეყრილან ჯგუფ-ჯგუფათ  
 დახტიან, დასქრიალეზენ,  
 უნდათ შეიპყრან პეპელა  
 გარშემო დატრიალებენ.

\* \* \*

ზოგიც გაფანტვით აქა-იქ  
 დამდგარან თითო-ოროლა  
 და შეცქერიან ჰაერში,  
 როგორ ნაფარდობს ტოროლა.

\* \* \*

აჭრელებულა მიდამო  
 ვარდ-ყვავილ მრავალ-ფერებით,  
 კმაყოფილია ბავშვბიც  
 საერთო ბედნიერებით.

\* \* \*

მათ აღარ ახსოვთ ზამთარი,  
 დღეიწყებიათ სრულგებით,  
 დღეს სულ სხვას გრძნობენ, სხვა დროა  
 განგების განკარგულებით.

რუს-იმერელი.







ურმით შეშასა მოგიტან,  
მე ნუ გგონივარ უხარო;  
წადი როსტომსაც უთხარი,  
სულ ჩემს-ამარა ნუ ხარო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ერთი რამ გამოკრთებოდა დღისით და ღამით შორადო;  
თვალი მაკრთების ნახეაზე, ხოცი შემექნა თრთოლადო.  
საზარელია ასეთი, არ შეიტყობა სწორადო,  
დაეღონდი მისსა საცნობლათ სიტყვა შემექნა ორადო.

ერთი თხა მყავდა ელაო, მხარზე გაეღო ენაო;  
იმისი ნათქვამ-ნაქნარი ქვეყანას დაეჯერაო.

დედამ შეიღები დაზარდა  
დიღები, პატარაები,  
დაჯდა და თითონ დაჭამა,  
სისხლით იღება კბილები.

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

ერთი რამ უცხო ფრინველი  
ეკლესიის კარს გალოზდა;  
ტანთ ეცვა გრძელი პერანგი  
ფეხებამდინა ჰუაროდა.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(გურამიანიდან).

ოარგულთა სიტყვას ნუ ისმენ, გაჯრთხილდი ნუ მოსტყუედები,  
ვასჭერ, დასჭერ და დახიე მტყუანთ ტყუილის გულები.



სჯობს უკმელობით სიკვდილი—საყვედუროთა ქამასა.

(წარმოდგენილი ა. სოლოღაშვილისაგან).

ურჩამ თული ვასცა, ვიზნაო? თავის ცოლსა და შვილზნაო.

### ა კ რ ო ს ტ ი ს ი

(წარმოდგენილი ი. ხაშველისაგან).

ეწვალა ჩენთვის სიცოცხლით,  
 ნეტარ აზრების მქადაგებელი,  
 რს მსახურებდა თავის სამშობლოს,  
 ნიადაგ ჩენგან საგონებელი.  
 ობოლი, მაგრამ თავის ქვეყნისა  
 შეცლი, ერთგული ნამდვილ ქართველი,  
 ეიშ, რომ მოგეშორდა ჩენ უღროვეო დროს  
 იგი სიმართლის გამომსახველი.  
 ლამპარი ჩაქრა, გამოგვესალმა,  
 იყოს კურთხეულ მისი სახელი.

### შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკისაგან).

თანხმობის ნიშნათ იმერნი  
 ხმარობენ პირველ მარცვალსა;  
 საჭმელი არის მეორე:  
 ვერ ჰპოვებ შიგ ხორცს და ძვალსა;

შემდეგი მთელი სიტყვაა,  
 მას ნახათ შენობაშია;

იგივე გვესმის ორ-სამ ხმით  
სიმღერა—გალობაშია.

მთელი ხისაგან კეთდება:  
საკმელს ვინახავთ მასშია,  
ხალხიც გადარჩა იმითი  
ერთხელ ძველ დროებაშია...

(წარმოდგენილი სვ. ბერიჭოვისაგან).

პირველი არის ყვავილი,  
აქეს მოსოსანო ფერია;—  
მეორე არის ის ასო  
კანის შემდეგ რომ სწერია;—  
მესამე, — თუ გამოიცილობთ,  
არის პატარა მწერია,  
სადაც რომ ტკბილი რამეა  
ზაფხულში ძრიელ ბევრია;—  
სულ კი გამოდის სახელი  
მთისა, თეთრი აქეს წვერია,  
თოვლი სულ მუდამ ზედა დევს,  
მის წვერზე ასელა ძნელია.

რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი ყ. უორდანიასაგან)



ს ს

მნის შე-  
საკრავი.



ქ 10'

მი

ფუტურის  
ბინა.



მიკ

ღორის  
სისუქნეს  
რა ჰქვია?

სიმის  
ცოლი.

**№ IV** გამოცანების ახსნა:

1) ძილი, 2) აბრაშუმის ჭია, 3) კალმახი, 4) სიბერე: ცა—  
თვალეები, მთა—თაფი, წისქვილები—კბილები, ლეინო—სისხლი.

სამათემატიკო გამოცანა: გზით მოდიოდენ მამა, იმისი  
შვილი და შვილი-შვილი.

აკროსტიხი: ირაკლი.

შარადა: 1) ხაქაპური, 2) მეძებარი.

რებუსი: ვინც კი ბოლომდინ ერთგულათ,  
ძნელ ომში იჩენს თავსაო,  
მას დაულოცავს ქვეყანა  
სახელს, ფარსა და გზასაო.

გამოცანები, აკროსტიხი, სამათემატიკო გამოცანა, შარადა და რებუსი ახსნეს თბილისში: სასულიერო სასწ. პირველი კლასის მოწაფემ მის. მოლოდინაშვილმა და ყვირილის ნორმალურ სკოლის მოწაფემ ვანო ზვიადაძემ.



რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

საქმანწილო ნახატებიანი ჟურნალი

# „**ქ ე ჯ ი ლ ი**“

წელიწადი მუშვიდი

გამოვა 1896 წელს თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალში მონაწილეობის შიღება აღვეითქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. თფილისის გარეშე გაგზავნიით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოთ წლიით და ნახევარ წლით. ხელისმოწერა მიიღება:

1) თბილისში — „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში (д. зем. банка № 32) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

2) ქუთაისში — მ. ბეჟანეიშვილთან, და თ. მთაერეიშვილთან.

3) გორში — ბ. კალანდაძესთან.

4) ბათუმში — მ. ნიკოლაძის სააგენტოში და გერ. კალანდაძესთან.

5) თელავში — მ. ცისკარაშვილის ავთიაქში.

6) საჩხერეში — შარამან ჩხეიძესთან.

7) თიონეთში — ივ. ჩიბლაიშვილთან.

8) ყვირილაში — არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

9) მიხაილოვში — ი. ფანცულაიასთან.

ფოსტის აღრესი: *Въ Тифлисѣ, во редакцію грузинскаго мѣсячнаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლის



## ბ ზ ი კ ი

ა მ ბ ა ე ი

I

უტარს ზაჭუს ცხოვრებაში არა ჩვეულებ-  
 რივი მოვლენა მოხდა. დღეს დილას თავი-  
 სით გამოეღვიძა. აქამდინ ეოველთვის ძა-  
 ლით აღვიძებდენ და ძალითვე აცვამდენ, ტა-  
 ნისამოსს. ზაჭუ თითქმის ეოველ დილას  
 ჭირვეულობდა, სძირათ ტირილსაც შემოუ-  
 რეედა ხოლმე. დღეს კი ასეთი არა მომხდა-  
 რა რა. თავის ნებით გამოაჭეიტა თვალები ზ  
 ტირილის მაგივრათ სიცილი დაიწყო. შეენიერ გუნებასე  
 იყო. საკვირველიც არ არის.—დაესიხმრა: ღითომც ის ზ  
 ერთი მისი ამხანაგი ჩვეულებრივათ მინდორში ცელქობ-  
 დენ. უცებ მათ სიახლოვეს ერთმა საუცხოო ზეპელამ გაი-  
 ფარფალა. წამსვე უკან დაედევნენ, დაეწიენ, მოუქნიეს წკე-  
 ჳლა და ზეპელაც მიწასე ჩამოაკდეს. დაეცენ ორივენი თავ-  
 სე. ზაჭუმ მოასწრო, ხელში ჩაიგდო საუცხოო ზეპელა.  
 მეორემ წართმევა მოინდომა. ზაჭუ გაიქცა. ამხანაგი უკან  
 დაედევნა, ზაჭრამ ბალახსე ფესი გაუსრიხლდა და მიწასე



გაკოტრიალდა. ჰაჭუ შეჩერდა და წაქცეულ მღევარს რომ შეხედა, — მასე გირჩევენიაო, — დაუძახა და კისკისი დაიწყო. მღევარი წამოდგომას აპირებდა, რომ უცებ გამოძვრნა საიდგანლაც ერთი ბზიკი, ეცა მას შუბლზე, ჩაასო შიგთავის გრძელი ისარი, მიატოვა იქვე და თვითონ კი არსეინათ სხვა მხარეს გაბზუილდა. ბავშმა ვეირილი დაიწყო. ჰაჭუმ რომ თავის ამხანაგის შუბლზე მიმჯდარი ბზიკი დაინახა, ჰირველათ ცოტათი შეერთა, მაგრამ მანც მისკენ გამოექანა მოსახმარებლათ. მის მოსვლამდე ბზიკიც გაფრინდა და ბავშმაც ტირილი დაიწყო, ასე რომ ჰაჭუს ნუკემის ცემის გარდა აღარაფერი დარჩა. ჰაჭუმაც ანუკემა: — აფელი გიჭილს, უკეთესია, ძლოხასავით ლქაი ამუა, ნუ იტილამ, — თქვა ეს და ქვეშ-ქვეშ დიმილიც დაიწყო. ამხანაგი ამ სიტყვებმა და ჰაჭუს დიმილმა მთლათ გააბრახეს. ის წამოვარდა მჯიღებ მომხადებული და ჰაჭუსკენ გაექანა საჩხუბრათ. ჰაჭუმ მოჭკურცხლა სასლისკენ.

ამ დროს ჰაჭუს კიდევ გამოეღვიძა. ბაგეზე დიმილი ჯერ კიდევ არ გაჭქრობოდა. გონზე რომ მოვიდა, ძალიან ესიმოვნა, რომ სიზმარში გალახვას აძორდა. წაქცეული ამხანაგი და მის შუბლზე მიმჯდარი ბზიკი, რომ მოაკონდა, დაიწყო სიცილი და თან გულში წყენით გაიფიქრა: — ოხ, ნეტავი ვეკლათფერი ეს ცხადათ მომხდარიყო. მაგრამ თავი იმით ინუკემა, რომ ეს სიზმარი უსათუოთ



ამიცხადდებო და ჰეჰელებზე სანადიროთ გამსადება დაი-  
წყო.

ოთახში არავინ იყო. ჰაჭუმ სხვისი დამხებაც არ ინ-  
დობა. წამოხტა თვითონ ლოკინიდან და დიდის გაწვალების  
შემდეგ, როგორც იყო, ტანისამოსიც ჩაიცვა, წელსეც ქა-  
მარი შემოირტყა, წულებშიც ფესი გაუყარა და ისე კარგათ  
და დიდგულათ იგრძნო თავის თავი, რომ კიდევ გაიფიქ-  
რა: თურმე დედა ჩემი აწი ჩემთვის აღარ უოფილბ, საჭი-  
რო, მე ჩემით გავიღვიძე და ჩემით ჩავიცვიო. დაიჭირა  
სეღში ბუსართან მიუუღებული თეთრი ჯოხი, რომელსაც  
ის თავის ლურჯას ეძახდა, გადახვდა ზედ და ის იყო  
გაჭენებსაც ახირებდა, რომ უცებ ოთახში დედა შემო-  
ვიდა:

—ოჰ, ჰაჭუ, შვილო, წამოიძახა მან, ფარსავი არაა  
შენს თავზე! ვინ აგაუენა ასე ძალე? ვინ ჩაგაცვა მასე გა-  
დაბრუნებულათ შარვალი?! გადახვდე ჯოხი! მოდი ჩემთან  
ერთი გაგალამაზო, საით მიეჩქარები!

—მე სენ აღარ მინდობსარ, მოტვი, თუ ინდა—უზასუ-  
ხა ჰაჭუმ.

—რაი, ნენა? —შეეკითხა დედა, რომელმაც ჰირველათ  
ვერ გაიგო რა უთხრა ბავშმა.

—რაი და მოტვი, თუ ინდა,—განუმეორა ჰაჭუმ.

—ვაიძე, რატომ შვილო, რა დაგიშავე?!—შეეკითხა  
გულნატკენი დედა. ჰაჭუმ ჰასუსის ნაცვლათ სიცილი დაი-